სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომა №3

ქ. თბილისი **2018 წლის 26 მარტი**

სხდომას ესწრებოდნენ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრები: 1. შაბურიშვილი შოთა 2. თოდუა ნუგზარი 3. აბესაძე ნინო 4. გაგელიძე ტარიელი 5. გოგინავა უშანგი 6. თუთბერიძე ბეჟანი 7. მაჭავარიანი ლია 8. ხაჩიძე მანანა 9. სამსონია შოთა 10. ბახტურიძე პაატა 11. ბასილაია ანანო 12. კვირიკაშვილი ბახვა 13. ონიანი თამარი 14. ოქიტაშვილი გიორგი 15. მარველაშვილი ვლადიმერი 16. ქიტუაშვილი თინა 17. ჩხაიძე ზურაბი 18. ჩხაიძე თამარი 19. წერეთელი მარი 20. ლორთქიფანიძე ლევანი 21. შევარდნაძე თორნიკე 22. დადეშქელიანი ბექა 23. თოფურია სალომე 24. ლორია კახაბერი 25. გორდეზიანი ლევანი 26. გელოვანი ნანი 27. თაბუაშვილი აპოლონი 28. ბრაჭული ირაკლი 29. ოთხმეზური გიორგი 30. პაიჭაძე თამარი 31. შარაბიძე თამარი 32. კეჟერაშვილი შოთა 33. გაიპარაშვილი ზურაბი 34. ღარიბაშვილი ირაკლი 35. სუმბაძე ციური 36. ბაშელეიშვილი ლევანი 37. ქადეიშვილი თორნიკე 38. რუსიაშვილი გიორგი 39. ალანია ვიქტორი 40. ხეცურიანი ნათელა 41. ხუციშვილი მარინე 42. რუხაია მიხეილი 43. ჯობავა თამარი (დანართი 1)

სხდომაზე დამსწრე აკადემიური საბჭოს წევრები: 1. შარვაშიძე გიორგი 2. ავაზაშვილი ნიკოლოზ 3 ამირანაშვილი ავთანდილ 4. ანანიაშვილი ნათელა 5. ზაუტაშვილი მარინე 6. კერესელიძე დავით 7. კვინიკაძე მურმან 8. კუხიანიძე ალექსანდრე 9. ლობჟანიძე გია 10. მექვაბიშვილი ელგუჯა 11. ნადირაძე ქეთევან 12. ოკრიბელაშვილი ნინო 13. სილაგაძე ავთანდილ 14. ფურთუხია ომარ 15. ქიტიაშვილი ანასტასია 16. ღვედაშვილი გიორგი 17. ღლონტი მედეა 18. ყარალაშვილი თამაზ 19. შავლაყაძე ნუგზარ 20. შანიძე რევაზი 21. ცინცაძე ნოდარ 22. ხუსკივაძე მამუკა (დანართი 2)

დღის წესრიგი:

1. სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2017 წლის ანგარიშის დამტკიცება
2. სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პერსონალის მართვის დეპარტამენტის დებულების ცვლილებების დამტკიცება

3. სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქონების იჯარის წესით გაცემა

4. სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პეტრე მელქიშვილის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტის ტერიტორიაზე არსებული მოძრავი ქონების სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოსთვის გადაცემაზე თანხმობის გაცემა

5. „ა(ა)იპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი სტრუქტურული ერთეულის - სამედიცინო პოლიმერული მასალების ინსტიტუტის დებულების დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2012 წლის 13 მარტის №19/2012 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2018 წლის 26 თებერვლის №86/2018 დადგენილების დამტკიცება

6. „სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2018 წლის 19 მარტის №90/2018 დადგენილების დამტკიცება

დღის წესრიგი დამტკიცდა ერთხმად.

1. ადმინისტრაციის უფროსმა, ნუნუ ოვსიანიკოვამ წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომის მონაწილეებს წარუდგინა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის 2017 წლის ანგარიში. მისი განმარტებით, უნივერსიტეტის ადმინისტრაცია მოქმედებს სტრატეგიული განვითარების გეგმის მიხედვით, გასული წლის პრიორიტეტებიც განისაზღვრა გეგმის შესაბამისად. უნივერსიტეტის დაფინანსების მთავარი წყარო სტუდენტების მიერ გადახდილი სწავლის საფასურია, რის გამოც საკმაოდ რთულია ბიუჯეტირების პროცესი და ხარჯებისა და შემოსავლების დადებითი თანაფარდობის წინასწარი განსაზღვრა. შეიცვალა სტუდენტებისათვის სახელმწიფო სასწავლო გრანტის მიცემის წესი, რამაც, ასევე, მნიშვნელოვანი გავლენა იქონია უნივერსიტეტის შემოსავლებზე. ადმინისტრაციამ შეიმუშავა გადახდის შეღავათიანი სისტემა სტუდენტებისთვის, რაც შესაძლებლობას იძლევა, სწავლის საფასური ეტაპობრივად, შეთანხმებული გრაფიკით დაიფაროს. მიუხედავად ამისა, ქვეყანაში არსებული ეკონომიკური მდგომარეობის გათვალისწინებით, სტუდენტების დავალიანება 6 მილიონ ლარამდეა. 2017 წელს შემცირდა შრომის ანაზღაურებისა და წარმომადგენლობითი ხარჯები, გარემონტდა

უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურის ნაწილი, ასევე, სამეცნიერო-კვლევითი პროექტების დაფინანსება გაიზარდა 2 მილიონი ლარით.

2017 წელს დასრულდა მაღლივი კორპუსის სველი წერტილების მოწყობა და გამოიცვალა ფანჯრები. უნივერსიტეტმა სახელმწიფოსგან მიიღო 6 მილიონი ლარი მე-2 კორპუსის რემონტისთვის, ასევე, მილიონ ლარამდე ღირებულების კომპიუტერული ტექნიკა. დასრულდა ინვენტარიზაციის პროცესი. რექტორის უშუალო მონაწილეობითა და სამინისტროს მხარდაჭერით, ცვლილებები შევიდა კანონმდებლობაში, რის შემდეგაც გადაწყდა ჩამოწერილი აქტივების რეალიზაციასთან დაკავშირებული პრობლემა. უკვე რეალიზებულია 80 ტონამდე ჯართი და გატანილია 10 ტონამდე საწარმოო ქიმიური აქტივები და ნარჩენები.

აქტიურად მიმდინარეობს უნივერსიტეტისთვის სახელმწიფო ქონების გადმოცემის პროცესი, დაინერგა საქმისწარმოების ელექტრონული სისტემა, რამაც მნიშვნელოვნად გაამარტივა შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების მუშაობა. საერთაშორისო კომპანიის მიერ ჩატარებული აუდიტის დასკვნის საფუძველზე დაიგეგმა შესაბამისი ღონისძიებები. კარგად ჩაიარა საავტორიზაციო განაცხადის მომზადებამ, რისთვისაც მადლობა ეკუთვნის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურსა და სამსახურის უფროსს, ქალბატონ ირინე დარჩიას. უნივერსიტეტის სასწავლო კორპუსებთან მოეწყო 4 კვების ობიექტი, გაიხსნა სტუდენტთა საერთო საცხოვრებელი ლისზე, სტუდენტებისთვის დამზადდა სპეციალური ელექტრონული ბარათები, რომლითაც ისინი სხვადასხვა შეღავათით ისარგებლებენ.

2018 წლის პრიორიტეტებია ავტორიზაციის პროცესის წარმატებით დასრულება, არსებული სინამდვილისა და რესურსის გათვალისწინებით, სწორი სახელფასო პოლიტიკის დაგეგმვა და გატარება, ინოვაციური პროექტების მხარდაჭერა, სტუდენტური პროექტების დაფინანსება და წახალისება, გარე დაფინანსების წყაროების მოძიება და ა.შ.

საკითხთან დაკავშირებით აზრი გამოთქვა წარმომადგენლობითი საბჭოს წევრმა, შოთა შაბურიშვილმა.

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობდნენ მხოლოდ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრები:

მომხრე: 43
წინააღმდეგი: 0

მიღებული გადაწყვეტილება: დამტკიცდეს სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2017 წლის ანგარიში (დანართი 3).

2. პერსონალის მართვის დეპარტამენტის უფროსმა, ნათელა ლაცაბიძემ წარმოადგინა სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პერსონალის მართვის დეპარტამენტის დებულების ცვლილება. მისი განმარტებით, ცვლილებით უქმდება დეპარტამენტის უფროსის მოადგილის თანამდებობა და მის ფუნქციებს მთავარი სპეციალისტი შეასრულებს.

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობდნენ მხოლოდ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრები:

მომხრე: 43
წინააღმდეგი: 0

მიღებული გადაწყვეტილება: დამტკიცდეს სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პერსონალის მართვის დეპარტამენტის დებულების ცვლილება (დანართი 4).

3. იურიდიული დეპარტამენტის უფროსმა, არჩილ კუკულავამ წარმომადგენლობით საბჭოს გააცნო სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქონების იჯარის წესით გაცემის საკითხი. მისი განმარტებით, უნივერსიტეტის მე-2, მე-10 და მე-11 კორპუსებში დაგეგმილია ფართის იჯარის წესით გაცემა ასლგადამღები აპარატების განთავსების მიზნით.

საკითხთან დაკავშირებით აზრი გამოთქვა წარმომადგენლობითი საბჭოს წევრმა, ნუგზარ თოდუამ.

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობდნენ მხოლოდ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრები:

მომხრე: 43
წინააღმდეგი: 0

მიღებული გადაწყვეტილება: გაიცეს თანხმობა უნივერსიტეტის მე-2 სასწავლო კორპუსის ნულოვან სართულზე მდებარე 17 კვ.მ. ფართის (5 კვ.მ. ფართის ოთახი და 12 კვ.მ. ფართი ფოიეს ნაწილი), მე-10 (მაღლივ) და მე-11 (ბიოლოგების) სასწავლო კორპუსებში არსებული გარკვეული ფართის (შესაბამისად 13,6 კვ.მ და 5,85 კვ.მ) 3 წლის ვადით, ასლგადამღები აპარატების განთავსების მიზნით, იჯარის ფორმით გაცემის თაობაზე, იმ პირობით, რომ აუქციონში გამარჯვებული პირი შესაბამისი მოთხოვნის არსებობის შემთხვევაში, თანაშრომელთა არანაკლებ 1/3-ს დააკომპლექტებს უნივერსიტეტის სტუდენტებისაგან.

4. იურიდიული დეპარტამენტის უფროსმა, არჩილ კუკულავამ წარმოადგინა სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პეტრე მელქიშვილის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტის ტერიტორიაზე არსებული მოძრავი ქონების სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოსთვის გადაცემაზე თანხმობის გაცემის საკითხი. მისი განცხადებით, ინსტიტუტის ტერიტორიაზე, რომელიც ქ. თბილისში, ჭირნახულის ქუჩაზე მდებარეობს, მუშაობა შეწყვეტილია და დაგეგმილია ამ შენობის პრივატიზება. ინსტიტუტმა წერილობით დაადასტურა, რომ აღარ იყენებს იმ მოძრავ ქონებას, რომელიც ამ შენობაშია განთავსებული. სახელმწიფო ქონების სააგენტოს უნივერსიტეტისგან სჭირდება ოფიციალური თანხმობა, რათა შენობის პრივატიზაციის პროცესი დაასრულოს.

საკითხთან დაკავშირებით აზრი გამოთქვა წარმომადგენლობითი საბჭოს წევრმა, გიორგი ოთხმეზურმა.

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობდნენ მხოლოდ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრები:

მომხრე: 43
წინააღმდეგი: 0

მიღებული გადაწყვეტილება: გაიცეს თანხმობა ქ. თბილისში, ჭირნახულის ქუჩა N5-7-ში განთავსებული უნივერსიტეტის (პეტრე მელქიშვილის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტის მოძრავი ქონების სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოსათვის გადაცემის თაობაზე.

5. იურიდიული დეპარტამენტის უფროსმა, არჩილ კუკულავამ წარმოადგინა „ა(ა)იპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო-

კვლევითი სტრუქტურული ერთეულის - სამედიცინო პოლიმერული მასალების ინსტიტუტის დებულების დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2012 წლის 13 მარტის №19/2012 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2018 წლის 26 თებერვლის №86/2018 დადგენილება. სამედიცინო პოლიმერული მასალების ინსტიტუტმა მიმართა უნივერსიტეტის ადმინისტრაციას ინსტიტუტის გაუქმების თხოვნით, რაც აკადემიურმა საბჭომ დააკმაყოფილა. გადაწყვეტილების ასამოქმედებლად აუცილებელია წარმომადგენლობითი საბჭოს თახმობა.

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობდნენ მხოლოდ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრები:

მომხრე: 43
წინააღმდეგი: 0

მიღებული გადაწყვეტილება: დამტკიცდეს „ა(ა)იპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი სტრუქტურული ერთეულის - სამედიცინო პოლიმერული მასალების ინსტიტუტის დებულების დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2012 წლის 13 მარტის №19/2012 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2018 წლის 26 თებერვლის №86/2018 დადგენილება (დანართი 5).

6. იურიდიული დეპარტამენტის უფროსმა, არჩილ კუკულავამ წარმომადგენლობით საბჭოს გააცნო „სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2018 წლის 19 მარტის №90/2018 დადგენილება. მისი განმარტებით, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ქალბატონმა ირინე დარჩიამ პირადი განცხადების საფუძველზე დატოვა დაკავებული თანამდებობა, რაც აკადემიურმა საბჭომ შესაბამისი დადგენილებით დაამტკიცა.

წარმომადგენლობითი საბჭოს წევრმა, ლევან ლორთქიფანიძემ განაცხადა, რომ სასურველი იყო, რექტორი ამ საკითხის განხილვასაც დასწრებოდა, ვინაიდან ქალბატონი ირინე დარჩია თანამდებობაზე სწორედ მისი უშუალო რეკომანდაციით აირჩიეს. უფრო მეტიც, როდესაც ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსს

ამტკიცებდა წარმომადგენლობითი საბჭო, საბჭოს რამდენიმე წევრმა განაცხადა, რომ შეიძლებოდა მომავალში პრობლემა წარმოშობილიყო. ხოლო როცა ამავე წევრებმა კანდიდატის მიერ პრეზენტაციის გაკეთება და პროგრამის წარდგენა მოითხოვეს, წარმომადგენლობითი საბჭოს უმრავლესობამ ამ ინიციატივას მხარი არ დაუჭირა, რის გამოც ინიციატორებმა სხდომა პროტესტის ნიშნად დატოვეს. იმედია, მომავალი ხელმძღვანელი უკეთ შეირჩევა და შესაბამისი პროცედურაც უფრო გამჭვირვალედ და სამართლიანად ჩატარდება.

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობდნენ მხოლოდ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრები:

მომხრე: 43
წინააღმდეგი: 0

მიღებული გადაწყვეტილება: დამტკიცდეს „სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2018 წლის 19 მარტის №90/2018 დადგენილება. (დანართი 6)

წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი: კახაბერ ლორია

წარმომადგენლობითი საბჭოს მდივანი: დიმიტრი გეგენავა

დანართი 1

სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომა

2018 წლის 26 მარტი

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

პროფესორები:

- შაბურიშვილი შოთა
- თოდუა ნუგზარი
- აბესაძე ნინო
- ბარბაქაძე ხათუნა

სტუდენტები:

- სოსიაშვილი თათია
- ბერუაშვილი ანზორი
- გაგელიძე ტარიელი
- შვანგირაძე მათე
- შუბითიძე ვლადიმერი

ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი

პროფესორები:

- გოგინავა უშანგი
- თუთბერიძე ბეჟანი
- მაჭავარიანი ლია
- გეგეჭკორი არნოლდი
- ხაჩიძე მანანა
- სამსონია შოთა

სტუდენტები:

- ბახტურიძე პაატა
- ბასილაია ანანო
- კვირიკაშვილი ბაჩანა

იურიდიული ფაკულტეტი

პროფესორები:

- თუმანიშვილი გიორგი
- ცისკაძე მარიამი
- თოდუა ნონა
- გარიშვილი მარინა

სტუდენტები:

- კვირიკაშვილი ბახვა
- ონიანი თამარი
- ოქიტაშვილი გიორგი
- ართქმელაძე თორნიკე

მედიცინის ფაკულტეტი

პროფესორები:

- მარგველაშვილი ვლადიმერი
- ქიტუაშვილი თინა
- ხოდელი ნოდარი
- ჩხაიძე ზურაბ

სტუდენტები:

- თამარ ჩხაიძე

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

პროფესორები:

- წერეთელი მარი
- შამილიშვილი მანანა
- ტუკვაძე ავთანდილი

სტუდენტები:

- ლორთქიფანიძე ლევანი
- საბაური შალვა
- შევარდნაძე თორნიკე

ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი

პროფესორები:

- ჟვანია ირინე
- ჩახუნაშვილი ნინო

სტუდენტები:

- დადეშქელიანი ბექა
- თოფურია სალომე

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

პროფესორები:

- ლორია კახაბერი
- გორდეზიანი ლევანი
- გელოვანი ნანი
- თაბუაშვილი აპოლონი
- ბრაჭული ირაკლი
- ოთხმეზური გიორგი

- პაიჭაძე თამარი
- შარაბიძე თამარი

სტუდენტები:

- ჯებაშვილი ნანა
- მინდიაშვილი თეონა
- სამხარაძე ლაშა
- კეკუერაშვილი შოთა
- მურღულია ირაკლი

თსუ–ს ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი

- გაიპარაშვილი ზურაბი

ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის დირექტორი

- ღარიბაშვილი ირაკლი

ალექსანდრე ნათიშვილის მორფოლოგიის ინსტიტუტი

- სუმბაძე ციური

ალექსანდრე ჯანელიძის გეოლოგიის ინსტიტუტი

- ბაშელეიშვილი ლევანი

ანდრია რაზმაძის მათემატიკის ინსტიტუტი

- ქადეიშვილი თორნიკე

არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი

ელეფთერ ანდრონიკაშვილის ფიზიკის ინსტიტუტი

- წაქაძე სევერიანი

ვახუშტი ბაგრატიონის გეოგრაფიის ინსტიტუტი

- ხომერიკი გიორგი

თინათინ წერეთლის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტი

- რუსიაშვილი გიორგი

ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი

- იოსელიანი ხათუნა

კავკასიის ალექსანდრე თვალჭრელიძის მინერალური ნედლეულის ინსტიტუტი

- ახალბედაშვილი ლალი

მიხეილ ნოდიას სახელობის გეოფიზიკის ინსტიტუტი

- ალანია ვიქტორი

პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი

პეტრე მელიქიშვილის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტი

- ხეცურიანი ნათელა

რაფიელ აგლაძის არაორგანული ქიმიისა და ელექტროქიმიის ინსტიტუტი

- ხუციშვილი მარინე

შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

- ნემსაძე ადა

ი. ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი

- მიხეილ რუხაია

მაღალი ენერგიების ფიზიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი

- თამარ ჯობავა

დანართი 2

სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომაზე დამსწრე აკადემიური საბჭოს წევრების სია
2018 წლის 26 მარტი

- შარვაშიძე გიორგი
- ავაზაშვილი ნიკოლოზ
- ამირანაშვილი ავთანდილ
- ანანიაშვილი ნათელა
- ბერძენიშვილი ამირან
- გამყრელიძე ერეკლე
- გონაშვილი ვასილ
- გოცირიძე დავით
- ზაუტაშვილი მარინე
- იმნაძე პაატა
- კერესელიძე დავით
- კვინიკაძე მურმან

- კუხიანიძე ალექსანდრე
- ლობჟანიძე გია
- ლომიძე გაგა
- მაისაშვილი ხათუნა
- მერკვილაძე დავით
- მესტვირიშვილი მაია
- მექვაბიშვილი ელგუჯა
- მინდორაშვილი მარინე
- ნადირაძე ქეთევან
- ოკრიბელაშვილი ნინო
- სანაძე რუსუდან
- სილაგაძე ავთანდილ
- ფერაძე გოჩა
- ფურთუხია ომარ
- ქიტიაშვილი ანასტასია

- ქურდაძე ირინე
- ღვედაშვილი გიორგი
- ღლონტი მედეა
- ყარალაშვილი თამაზ
- ყულიჯანიშვილი აკაკი
- შავლაყაძე ნუგზარ
- შანიძე რევაზი
- ცაგარელი ზურაბ
- ცინცაძე ნოდარ
- ხარშილაძე ირმა
- ხუსკივაძე მამუკა

სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ანგარიში

2017 წელი

სამეცნიერო და საგანმანათლებლო საქმიანობის ხელშეწყობა

2017 წლის განმავლობაში, **სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტის ინიციატივით**, თანამშრომლობითა და ხელშეწყობით განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები: პერმანენტულად წარმოებდა სამუშაო შეხვედრები მიმდინარე სამეცნიერო, საგრანტო და საორგანიზაციო საკითხებზე; მიმდინარეობდა ადგილობრივი (საერთაშორისო ფონდების (SRGNSF, EU HORIZON2020 / Erasmus+, GRDF/CRDF, NATO, STCU, ISTC, SNF და სხვა) საგრანტო კონკურსების პირობების გაცნობა, ინფორმაციის გავრცელება. საკონკურსოდ წარსადგენი საგრანტო პროექტების წინასწარი მონიტორინგი, აღრიცხვა და საჭიროებისამებრ კონსულტაციების გაწევა; საერთაშორისო და ადგილობრივი ფონდების წარმომადგენლობებთან კონსულტაციები საგრანტო კონკურსებში თანამშრომლობის მიზნით; ინსტიტუტებთან წარმოებდა შეხვედრები არსებული სამეცნიერო-კვლევითი პრობლემატიკის გარშემო; მიმდინარეობდა უნივერსიტეტში არსებული სამეცნიერო-კვლევითი ერთეულების სამეცნიერო საქმიანობის ხელშეწყობა-მონიტორინგი. მუდმივად ხორციელდებოდა უცხოელ ექსპერტთა ბაზის შევსება დოქტორანტთა ნაშრომების საერთაშორისო რეცენზირებისთვის. დეპარტამენტი უშუალოდ იყო ჩართული სამეცნიერო-პოპულარული ჟურნალის ,,თსუ მეცნიერების" სამეცნიერო-საორგანიზაციო მუშაობაში. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მოთხოვნის საფუძველზე მომზადდა და გაიგზავნა უცხოეთის დონორი ორგანიზაციების დაფინანსებით შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი ნაშრომები, ასევე საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის და შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული სამეცნიერო საქმიანობის ანგარიშები. უნდა აღინიშნოს, რომ უნივერსიტეტმა 2017 წელს მოიპოვა 102 საგრანტო პროექტი (მათ შორის 8 საერთაშორისო). მოპოვებული 94 ეროვნული სამეცნიერო ფონდის პროექტიდან ფუნდამენტურ კვლევებზე მოდიოდა 37, რაც ამ კონკურსით დაფინანსებული პროექტების საერთო რაოდენობის 43%-ს შეადგენდა (შედარებისთვის, 2016 წელს, იგივე გრანტის ფარგლებში მოპოვებული იყო 31 პროექტი (36%)); დოქტორანტთა დაფინანსების გრანტის პროექტის ფარგლებში მოპოვებული იყო 14 (35%); ახალგაზრდა მეცნიერთა კვლევებში 6 (26%); სულიერი მემკვიდრეობის პროექტის ფარგლებში 1 (25%); მაგისტრანტთა სასწავლო კვლევითი პროექტების გრანტით დაფინანსების კონკურსში 15 (50%); ოქსფორდთან- 1; საკონფერენციო და კომბინირებული ღონიძიებები 4; DAAD -11; CNR-3; გერმანიის ფონდის ფოლკსვაგენის ფონდის ერთობლივი პროექტი-2.

2017 წელს გრანტებით მოზიდული თანხა შეადგენდა 12 589 368 ლარს. 2016 წელს ეს მაჩვენებელი 10 146 708 ლარი იყო. Scopus-ის მონაცემებით 2017 წლის განმავლობაში უნივერსიტეტის ავტორობით მაღალრეიტინგულ ჟურნალებში გამოქვეყნდა 506 პუბლიკაცია. უნივერსიტეტი ერთადერთი უნივერსიტეტია საქართველოში, რომელიც მოხდა The Times Higher Education რანჟირების სისტემაში.

დეპარტამენტმა სხვადასხვა სტრუქტურულ ერთეულებთან ერთად მონაწილეობა მიიღო წესების, დებულებების, სტანდარტების მომზადება-განახლებაში. კერძოდ, შემუშავდა: სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებში სამეცნიერო პერსონალის სამსახურში მიღების წესები და საკონკურსო

პირობები. თსუ ფაკულტეტების დეკანებთან ერთად მოხდა მინიმალური სამეცნიერო სტანდარტის განხილვა და ძალაში შესვლა რეკომენდაციის სახით; თსუ დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტების დირექტორების კანდიდატურების შესარჩევი კონკურსის, სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელთა შერჩევის, სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელთა კონკურსის, სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელთა წესების შემუშავება; მომზადდა სადისერტაციო საბჭოს დებულება. დეპარტამენტი აქტიურად იყო ჩართული თსუ სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების ინფრასტრუქტურის აღწერილობის პროცესში; სამეცნიერო-კვლევითი პროდუქციის ღია წვდომის ციფრული არქივის (რეპოზიტორის) შექმნისა და ფუნქციონირების წესის მომზადებაში.

დეპარტამენტის ჩართულობითა და ხელშეწყობით, შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნულ სამეცნიერო ფონდთან თანამშრომლობით ჩატარდა ჩინეთის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ვიზიტი უნივერსიტეტში. შეხვედრის მიზანი იყო: მეცნიერებისა და ტექნოლოგიების სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავება აბრეშუმის გზის ქვეყნებში, საერთაშორისო ცენტრების ფარგლებში თანამშრომლობა ერთობლივი ფუნდამენტური კვლევების განვითარებისთვის, მულტიეროვნული კვლევითი სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმების შემუშავება; აკადემიური გაცვლითი პროგრამების შექმნა და მეცნიერთა მობილობის ხელშეწყობა. ასევე უნივერსიტეტს ეწვია აშშ კლარკსონის უნივერსიტეტის დელეგაცია. ვიზიტის ფარგლებში ჯგუფი გაეცნო თსუ-ში მიმდინარე კვლევებს.

ჩატარდა იაკობ გოგებაშვილისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია. უნივერსიტეტმა მონაწილეობა მიიღო საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ ორგანიზებულ სამეცნიერო ფესტივალში.

უნივერსიტეტის სხვადასხვა რანჟირების სისტემაში ჩართვის მიზნით, სისტემატურად ხდებოდა (Times Higher Education World University Rankings (THE); Multiranking; (2017 Research and Experimental Development Survey) ინფორმაციის შეგროვება და მიწოდება. დეპარტამენტის ორგანიზებით ჩატარდა SCOPUS სემინარი. სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის კითხვარისათვის მომზადდა თსუ პერსონალის შესახებ ინფორმაცია, განხორციელდა თსუ სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტების პროგრამული დაფინანსების ფარგლებში ინფორმაციის შეგროვება, დამუშავება და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთვის მიწოდება.

დეპარტამენტის თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს სხვადასხვა სახის ტრენინგებსა და სამუშაო შეხვედრებში. კერძოდ, ERASMUS +(ტრენინგი ინსტიტუციური განვითარების პროგრამების თაობაზე (CBHE)); „TUBITAK"-ის საინფორმაციო შეხვედრა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნულ სამეცნიერო ფონდში; ახალგაზრდა მეცნიერთა და შემოქმედთათვის „წინანდლის პრემიის" მინიჭების შესარჩევი დარგობრივი კომისიის მუშაობაში; ტემპუს IV-ის მეექვსე კონკურსის შედეგად დაფინანსებული პროექტის „Development of Embedded System courses with implementation of Innovative virtual approaches for integration of Education, Research and Production in UA, GE, AM - DESire 2013" შემაჯამებელ კონფერენციაში, „მეცნიერებისა და ტექნოლოგიების სფეროში ევროპული თანამშრომლობის პროგრამის "COST Actions"-ების საინფორმაციო დღეებში და სხვა.

2017 წელს დეპარტამენტის თანამშრომლები ჩართული იყვნენ მიმდინარე გრანტებში. კერძოდ, MTCU/110/6-110/14 პროექტი: "მაგნიტოსტრიქციული მასალების მაგნიტოაკუსტიკური და მახსოვრობის ეფექტების შესწავლა ბმრ და მაგნიტური ვიდეო-იმპულსის გამოყენებით"; SRNSF #FR/41/3-250/14 პროექტი: „მაგნიტური ნანოკლასტერებით დოპირებული ნახშირბადოვანი ნანონაწილაკების სინთეზი და მათ საფუძველზე შექმნილი თვითაღმდგენი მაგნიტური პოლიმერული ნანოკომპოზიტური ფირების დამზადება და დახასიათება"; TEMPUS IV-ის მეექვსე კონკურსის გრანტი: "Development of Embedded

System Courses with implementation of Innovative Virtual approaches for integration of Research, Educationand Production in UA, GE, AM " –DESIRE; SRNSF#FR17; 86 პროექტი; „საქართველო XVI საუკუნის ევროპულ წყაროებში“.

სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტი თსუ-ს სხვა სტრუქტურულ ერთეულებთან კოორდინირებული მუშაობის საფუძველზე ხელს უწყობდა საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში უნივერსიტეტის ინტეგრაციას, კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადებისა და სტუდენტის სასწავლო პროცესზე, საგანმანათლებლო პროგრამაზე სწორად ორიენტირების პროცესს; ახდენდა საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პირების შესახებ ინფორმაციის სისტემატიზაციას.

დეპარტამენტი თავისი კომპეტენციის ფარგლებში ასრულებდა საქართველოს კანონმდებლობით და უნივერსიტეტის შიდა სამართლებრივი აქტებით დაკისრებულ მოვალეობებს და თავის უფლებამოსილებას ახორციელებდა ფაკულტეტების სასწავლო პროცესის მართვის სამსახურებთან და თსუ სხვა დეპარტამენტებთან (იურიდიულ, საფინანსო, საინფორმაციო ტექნოლოგიების, საზოგადოებასთან ურთიერთობის, საგარეო ურთიერთობის, შიდა აუდიტის სამსახური) კოორდინირებული მუშაობის საფუძველზე. რიგ საკითხებზე მჭიდროდ თანამშრომლობდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრთან, სსიპ შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრთან, სსიპ საინფორმაციო მართვის სისტემასთან, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსთან, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურთან, საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან და სხვა უწყებებთან. დეპარტამენტმა მოამზადა და მიაწოდა შესაბამის ინფორმაცია: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროექტისათვის „ისწავლე საქართველოში; სსიპ დევნილთა საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს, დევნილთა პროფესიული განათლების ხელშეწყობის პროგრამისათვის; ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურს სტაჟირების პროგრამისათვის „დაიწყე კარიერა“; ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურს პროგრამისათვის „წარმატებული სტუდენტების წახალისება“, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წარჩინებული სტუდენტების შერჩევის შესახებ (წარჩინებულ სტუდენტთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებისათვის); საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს „სოკარის“ სტიპენდიანტობის კანდიდატების შერჩევის შესახებ; აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს წარმატებული სტუდენტების შერჩევის შესახებ; საგანმანათლებლო პორტალ edu.aris.ge-ს და პერიოდული პრესის გამოცემებს, თსუ-ში სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ საკითხებზე; სხვადასხვა ქვეყნების საელჩოებს საინფორმაციო ბრუშურებისათვის.

დეპარტამენტის სასწავლო პროცესის მართვის განყოფილების მიერ მომზადდა საუნივერსიტეტო მნიშვნელობის ბრძანებები; უზრუნველყო 2017-2018 სასწავლო წლისათვის „სტუდენტების გზამკვლევის“ (საინფორმაციო ბროშურა) შემუშავება და თსუ ვებგვერდისთვის სხვა საცნობარო მასალის მომზადება; მოიძია და დაამუშავა სასწავლო პროცესთან დაკავშირებული ინფორმაცია; მონაწილეობდა უცხოელი სტუდენტებისა და ერთიანი ეროვნული საერთო სამაგისტრო გამოცდის გავლის გარეშე აკრედიტებული პროგრამით სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების მაგისტრანტობის კანდიდატების სტუდენტების სასწავლო პროცესში ინტეგრირებისათვის განსახორციელებელ ღონისძიებებში; მონაწილეობდა თსუ-ს შესამუშავებელი ნორმატიული დოკუმენტების შედგენასა და ექსპერტიზაში; შეიმუშავა და მოამზადა სტუდენტებთან, რეზიდენტებთან, პროფესიულ

სტუდენტებთან მასწავლებლის მომზადების პროგრამაზე ჩარიცხულ პირებთან გასაფორმებელი ახალი ხელშეკრულებები და სხვა.

სასწავლო პროცესის მართვის განყოფილებამ 2017 წლის მდგომარეობით განიხილა და რეაგირება მოახდინა 3401 კორესპონდენციაზე; საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების შესაბამისად მომზადდა უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტის 1344 პროექტი, 1541 წერილი, 336 ცნობა სტუდენტის სტატუსის შესახებ (გავლილი სასწავლო კურსებისა და კრედიტების მითითებით, ქართულ-ინგლისურ ენებზე), ცნობად იქნა მიღებული 180 კორესპონდენცია.

თსუ-ში სასწავლო პროცესის მართვა მნიშვნელოვანწილად არის დამოკიდებული სასწავლო პროცესის მართვის სისტემების (sms.tsu.ge, lms.tsu.ge) ეფექტურ მუშაობაზე, ამიტომ სტუდენტთა რეესტრის წარმოების განყოფილება თსუ-ს სხვა სტრუქტურებთან ერთად აქტიურად თანამშრომლობდა სასწავლო პროცესის მართვის სისტემაში არსებული ხარვეზების აღმოსაფხვრელად. იმისათვის, რომ სისტემა (sms.tsu.ge) იყოს ბევრად მოქნილი, მოხერხებული და მაქსიმალურად აკმაყოფილებდეს სტუდენტების, პროფესორ-მასწავლებლების და სხვა მომხმარებლების მოთხოვნებს, აუცილებელია ან არსებულის დახვეწა, ან lms.tsu.ge-ით დროულად ჩანაცვლება (რომელიც გარკვეულწილად ასევე ცვლილებებს მოითხოვს). ასევე მნიშვნელოვანია შიდა სამართლებრივი დოკუმენტის- სასწავლო პროცესის მართვის სისტემის წარმოების წესი - შემუშავება. 2017 წელს განყოფილებაში დამუშავდა 424 კორესპონდენცია და უნივერსიტეტის სხვა სტრუქტურულ ერთეულებთან კოორდინირებული მუშაობის საფუძველზე მომზადდა წერილები. განყოფილებამ საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრში და თსუ-ს სასწავლო პროცესის მართვის სისტემაში (sms.tsu.ge, lms.tsu.ge) დააფიქსირა 2017 წელს უნივერსიტეტში ჩარიცხული 6157 სტუდენტის სტატუსი და ასახა ჩარიცხვის თაობაზე გამოცემული რექტორის ბრძანებები, ასევე ორივე სისტემაში მოახდინა 1400-მდე ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის დაფიქსირება. განყოფილებამ უზრუნველყო სხვადასხვა სახის სტატისტიკური მონაცემების დამუშავება და მიწოდება თსუ სტრუქტურული ერთეულებისათვის, ფიზიკური პირებისათვის, სხვადასხვა საჯარო, კერძო, არასამთავრობო ორგანიზაციებისათვის.

სტუდენტთა მომსახურების განყოფილება თსუ-ში გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტების ნამდვილობის დადასტურების მიზნით აქტიურად თანამშრომლობდა როგორც სახელმწიფო ისე კერძო საერთაშორისო ორგანიზაციებთან, ასევე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, საქართველოს მთავარ პროკურატურასთან და ადვოკატთა ასოციაციასთან.

განყოფილებამ 2017 წელს რეაგირება მოახდინა 3245 კორესპოდენციაზე. მომზადდა საპასუხო წერილები, ხოლო ნაწილზე გამოცემულია რექტორის 355 ბრძანება. განყოფილებამ უზრუნველყო: მასწავლებლის მომზადების სერტიფიკატის შემუშავება და შესაბამის სახელმწიფო ორგანოებში წარდგენა კანონმდებლობით დადგენილი წესით; სატენდერო წინადადებების მომზადება დეპარტამენტის კომპეტენციის ფარგლებში; საფინანსო დეპარტამენტისათვის კვარტალურად ინფორმაციის მიწოდება დიპლომების ფორმების შემოტანის და ხარჯვის შესახებ; კურსდამთვრებულების პრობლემური პირადი საქმეების სრულყოფა; 4800 დიპლომის დანართის კანონმდებლობასთან შესაბამისობის დადგენა; სტუდენტის 9100 ხელშეკრულება რექტორის ხელმოწერითა და ბეჭდით; ვაჟი სტუდენტების აღრიცხვა და 1961 ფორმა №26–ის მომზადება; 2009-2010, 2010-2011, 2011-2012 წლის კურსდამთავრებულთა პირადი საქმისთვის დიპლომის ასლის დამზადება 1300 ცალი; 2005 წლამდე გაცემული 650 დიპლომის ფორმის უტილიზაცია; დიპლომის, დიპლომის დანართის, ცნობის ასლების დამოწმება და გაცემა 520 ცალი; განყოფილებაში არსებული მასალის დაარქივება და არქივისათვის გადაცემა; მოქალაქეებისათივს 120 კორესპოდნციის, ხოლო თსუ სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულებისათვის 2542 შუალედური კორესპოდენციის გაგზავნა;

განყოფილებამ კურსდამთავრებულთათვის დაამზადა: საგანმანათლებლო დოკუმენტი 5436 ცალი სხვადასხვა სახის 750 ცნობა, დიპლომის, დიპლომის დანართების, ცნობების ნამდვილობის დადასტურების მიზნით 885 კორესპონდენცია.

უნივერსიტეტის საგამოცდო ცენტრის მიერ, 2016-2017 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში ჩატარებულ გამოცდებზე დარეგისტრირებული იყო 73 806 სტუდენტი. გამოცდაზე გამოცხადდა 57334 სტუდენტი (77,6%), არ გამოცხადდა 10216 სტუდენტი (13,8%), არ ქონდა გამოდაზე გასვლის უფლება 6208 სტუდენტს (8,4%), ჩაიჭრა 8951 სტუდენტი (15,6%), მათ შორის მიიღო შეფასება ,,0'' 2115 სტუდენტმა ანუ ჩაჭრილთა 23,6%, გამოცდიდან მოიხსნა 46 სტუდენტი (0,08%), მიიღო დადებითი შეფასება 48 383 სტუდენტმა (84,3%), მათ შორის მიიღო უმაღლესი შეფასება 8500 სტუდენტმა, ანუ დადებითი შეფასების მქონე სტუდენტთა 17,5%. აპელაციაზე გაიგზავნა 3704 სტუდენტის ნაშრომი (6,4%), აპელაციის შედეგად გადასწორდა 2146 სტუდენტის ნაშრომი (57.9%).



საგამოცდო ცენტრის მიერ, საანგარიშო პერიოდში ჩატარებული გამოცდები კი შემდეგ სურათს იძლევა. კერძოდ,

2017-2018 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის I შუალედური გამოცდების სტატისტიკა

ფაკულტეტი	საგნის რაოდენობა	სტუდენტთა რაოდენობა
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა	97	7195
ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა	35	2959
ჰუმანიტარული	63	6600
იურიდიული	91	16474
ეკონომიკისა და ბიზნესის	56	11776
ტურიზმის საერთაშორისო სკოლა	18	1523
ზუსტი და საბუნებისმეტყველო	137	11317
მედიცინა	23	984
ტურიზმის საერთაშორისო სკოლა(კომპ)	6	504

ეკონომიკისა და ბიზნესის (კომპ)	22	5788
ეკონომიკისა და ბიზნესის (მაგ)	11	1786
სულ	559	66906

2017-2018 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის II შუალედური გამოცდების სტატისტიკა

ფაკულტეტი	საგნის რაოდენობა	სტუდენტთა რაოდენობა
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა	24	1592
ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა	19	1685
ჰუმანიტარული	53	5077
ზუსტი და საბუნებისმეტყველო	4	652
მედიცინა	6	222
სულ	106	9228

2017-2018 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის ძირითადი გამოცდების სტატისტიკა

ფაკულტეტი	საგნის რაოდენობა	სტუდენტთა რაოდენობა
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა	107	7797
იურიდიული	96	16653
ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა	35	2928
ეკონომიკისა და ბიზნესის	56	11776
ჰუმანიტარული	423	16470
ტურიზმის საერთაშორისო სკოლა	18	1523
ზუსტი და საბუნებისმეტყველო	138	11421
მედიცინა	46	2711
ეკონომიკისა და ბიზნესის (მაგ)	11	1786
იურიდიული მაგ	10	383
ტურიზმის საერთაშორისო სკოლა(კომპ)	6	504
ეკონომიკისა და ბიზნესის (კომპ)	21	5548
სულ	967	79500

2017-2018 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის მაგისტრატურაში მისაღები გამოცდების სტატისტიკა

ფაკულტეტი	განცხადების რაოდენობა	ჩარიცხული მაგისტრანტების რაოდენობა

ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი	290	195
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა	373	220
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა	507	212
ეკონომიკისა და ბიზნესის	667	354
იურიდიული	482	299
მედიცინა	35	7
ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერება ფაკულტეტი	366	116
შპაიერის სამაგისტრო პროგრამა	50	26
ევროპისმცოდნეობა (ინგლისურენოვანი)	23	6
სამაგისტრო პროგრამა: მიგრაციის კომპეტენციის ცენტრი	23	4
სამაგისტრო პროგრამა: კიოლნი	20	15
სულ	2836	1454

2017-2018 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის დოქტორანტურაში მისაღები გამოცდების სტატისტიკა

#	ფაკულტეტი	განცხადების რაოდენობა	ჩარიცხული დოქტორანტთა რაოდენობა
1	ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი	56	39
2	ჰუმანიტარულ მეცნიერებათა	109	83
3	სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა	57	38
4	ეკონომიკისა და ბიზნესის	65	53
5	იურიდიული	76	63
6	მედიცინა	45	43
7	ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერება ფაკულტეტი	40	23
	სულ	448	342

უწყვეტი განათლების ცენტრის საქმიანობა მოიცავს სასერტიფიკატო და ტრენინგ კურსებს, აბიტურიენტთა მოსამზადებელ კურსებს და საბავშვო უნივერსიტეტის მიერ განხორცელებულ სხადასხვა აქტივობებს. ცენტრის საქმიანობის ძირითადი სფეროა უნივერსიტეტში საუნივერსიტეტო უწყვეტი განათლების სისტემის განვითარებაზე ზრუნვა და კვლევაზე დაფუძნებული მაღალი ხარისხის უწყვეტი განათლების პროგრამების შექმნა და განხორციელება.

2017 წლის განმავლობაში ტრენინგები გაიარა 240 მსმენელმა, მათ შორის: ,,ტრენერებს ტრენინგი დამწყებთათვის''-95 მსმენელმა; ტრენერების ტრენინგი (ინტენსიური კურსი) -12 მსმენელმა; აღმზრდელი ბაგა -ბაღის-35 მსმენელმა; ზოგადი ინგლისური (A1)-10 მსმენელმა; ზოგადი ინგლისური (B1) (B2) -11/11 მსმენელმა; პრაქტიკული ინგლისური-9 მსმენელმა; შრომის სამართალი და პერსონალის მართვის აქტუალური საკითხები-11 მსმენელმა; ზოგადი მენეჯმენტი-6 მსმენელმა;

სპორტული ნუტრიციოლოგია და კანონმდებლობა-8 მსმენელმა; კულინარიული ტურიზმი-9.მსმენელმა; სწავლა და ცხოვრება გერმანიაში-გერმანულ ენაზე სასაუბრო კურსი-5 მსმენელმა; ენის შემსწავლელი თამაშები-4 მსმენელმა; მეცნიერება და ინტერკულტურული კომუნიკაცია გერმანიაში-2 მსმენელმა.

2017 წელს დამტკიცებული იყო უწყვეტი განათლების შემდეგი სასერტიფიკატო კურსები: „ფოტოგრაფი“, „უძრავი ქონების შეფასება“, „საბაჟო დეკლარირების სპეციალისტი“, „ადრეული განათლების აღმზრდელი“, „კულინარიული ტურიზმი“, „მონაცემთა ბაზები MS ACCESS“, „Linux ოპერატიული სისტემა” (ბაზისური დონე); „Linux ოპერატიული სისტემა” (გაღრმავებული დონე), „კომპიუტერის პროგრამული’’, „ინფორმაციის ტექნოლოგიები’’, „დაპროგრამირების საფუძვლები. პროგრამირების ენა - Python“. ტრენინგ-კურსები: „ საპროექტო განაცხადის წერა“, „სპორტული ნუტრიციოლოგია და კანონმდებლობა“, „ინფორმაციისტექნოლოგიები და კონპიუტერული უნარ-ჩვევების საბაზისო კურსი“. 2017-2018 სასწავლო წელს ერთიანი ეროვნული გამოცდებისთვის მოსამზადებელ კურსზე ემზადება 54 აბიტურიენტი საერთო სამაგისტრო გამოცდებისთვის 74 აბიტურიენტი.

საბავშვო უნივერსიტეტის საქმიანობა 2017 წელს მოიცავდა შემდეგ აქტივობებს: ექსკურსიებს, კონკურსებს, კონფერენციებს, მრავალჯერადი აქციებს და სხვა. აღნიშნულ ღონისძიებებში სულ მონაწილეობდა 5977 მდე მოსწავლე და 371 -მდე სკოლა.

სტუდენტთა კარიერული განვითარების ცენტრმა, 2017 წელს კონსულტაცია გაუწია დაახლებით 1300 სტუდენტს (როგორც ინდივიდუალური, ასევე ონლაინ და სატელეფონო რეჟიმში). დასაქმებისა და სტაჟირების შესახებ გავრცელდა 484 ინფორმაცია ფბ-გვერდის საშუალებით. აქედან 277 ვაკანსიაზე, 134 არაანაზღაურებადი სტაჟირების შესახებ, 73 ანაზღაურებადი სტაჟირების შესახებ. ცენტრი რეგულარულად ავრცელებდა ასევე ინფორმაციას სასწავლო სტიპენდიების, კონკურსებისა და ტრენინგების შესახებ.

ცენტრმა ჩაატარა 12 საინფორმაციო შეხვედრა და ტრენინგი სუდენტებისათვის. ტრენინგები ჩატარდა CV-სა და სააპლიკაციო დოკუმენტაციის მომზადებისა და დამსაქმებელთან გასაუბრების თემებზე. ტრენინგის მიზანი იყო სტუდენტების მომზადება ფორუმისთვის. კერძოდ, CV-სა და სააპლიკაციო დოკუმენტაციის მომზადება, დამსაქმებელთან გასაუბრების უნარ-ჩვევები და სხვა. ასევე, ცენტრის ორგანიზებით ჩატარდა დასაქმების ფორუმი. ფორუმში მონაწილეობა მიიღო 70-ზე მეტმა კომპანიამ, ორგანიზაციამ, უწყებამ, კერძო, საჯარო და არასამთავრობო სექტორიდან, რომლებმაც სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს შესთავაზეს სტაჟირების, დასაქმებისა და კარიერული განვითარების სხვა შესაძლებლობები. ცენტრის ორგანიზებით ჩატარდა დარგობრივი დასაქმების ფორუმი ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე; ფორუმში მონაწილეობა მიიღო 27 დამსაქმებელმა, რომლებმაც სტუდენტებს და კურსდამთავრებულებს შესთავაზეს სტაჟირების, დასაქმებისა და კარიერული განვითარების სხვა შესაძლებლობები. გარდა ამისა, წლის მანძილზე ცენტრმა ორგანიზება გაუწია დამსაქმებელთა 21 შეხვედრას სტუდენტებთან. მათ შორის: ლიბერთი ბანკის წარმომადგენლების შეხვედრა სტუდენტებთან, საერთაშორისო გაყიდვების ინსიტუტის დამფუძნებლის შეხვედრა სტუდენტებთან, კომპანია „დოსოუ მენეჯმენტის“ (ქმნის ელექტრონული აღრიცხვის სისტემებს სადაზღვევო, კლინიკური და სპეციალიზირებული აღრიცხვის საჭიროების მქონე ორგანიზაციებისთვის) შეხვედრა ეკონომიკისა და ბიზნესის, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტებთან. ,,ფინკა ბანკი’’ საქართველოს წარმომადგენლების შეხვედრა ეკონომიკის,

ბიზნეს ადმინისტრირების, ფიზიკის, მათემატიკისა და სხვა ტექნიკური მიმართულებების დამამთავრებელი კურსის სტუდენტებთან და სხვა. სტაჟირების პროგრამის ფარგლებში ცენტრში რეგისტრაცია და კონსულტაცია გაიარა 770 სტუდენტმა და კურსდამთავრებულმა. სტაჟირებაზე რეგისტრაციის პროცესის მთელი ხანგძრლივობის მანძილზე ცენტრი დეტალურ კონსულტაციას უწევდას ტუდენტებს ამ სტაჟირების სპეციფიკის, შესაძლებლობების, ტექნიკური თუ შინაარსობრივი დეტალების შესახებ.

2017 წელს ცენტრმა მონაწილეობა მიიღო HR Hub-ის ორგანიზებით წამყვანი კომპანიებისა და საჯარო უწყებების HR-ებისა და უნივერსიტეტების კარიერული განვითარების ცენტრების წარმომადგენლების სამუშაო შეხვედრებში, სადაც განხილული იყო დამსაქმებლების, უნივერიტეტებისა და სტუდენტების თანამშრომლობის პრობლემები. ცენტრის წარმომადგენელი დაესწრო საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის მიერ ორგანიზებული კონკურსის "სტუდენტები სოციალური მეწარმეობის მხარდასაჭერად" დაჯილდოების ცერემონიას. კონკურში გაიმარჯვა თსუ-ს სტუდენტთა გუნდმა.

2017 წელს ცენტრმა ჩაატარა კურსდამთავრებულების დასაქმების და სწავლის გაგრძელების შემთხვევების მოკვლევა და რაოდენობრივი ანალიზი. გამოიკითხა 556 ბაკალავრი, 151 მაგისტრი, 7 ერთსაფეხურიანი სწავლების, სულ 715 კურსდამთავრებული. საანგარიშო პერიოდში ცენტრში სტაჟირება გაიარა 8 სტაჟიორმა/მოხალისემ (თსუ-ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სტუდენტები, ასევე ერთი სტუდენტი სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტიდან). მათ მონაწილეობა მიიღეს დასაქმების ფორუმის ორგანიზებაში და შემდგომი კვლევევბის ჩატარებაში.

2017 წელს გამომცემლობამ მიიღო, რედაქტირება გაუკეთა, დიზაინი შეიმუშავა და დაბეჭდა 134 დასახელების სახელმძღვანელო, მონოგრაფია, კრებული, ლექსიკონი, ჟურნალი და სხვა პერიოდული გამოცემა.

დასახელება	ტირაჟი	გვერდების რაოდენობა
ალბომი	250	192
ბიბლოგრაფია	150	352
ბროშურა,ბუკლეტი	500	84
დამხმარე სახელმძღვანელო	1350	2326
ელ სახელმძღვანელო		846
თარგმანი	400	408
თეზისები	150	344
კოლექცია	100	28
კონფერენციის მასალები	270	856
კრებულები	2920	6205
მასალები	1190	1784
მონოგრაფია	2080	3550
ნარკვევები	300	92
ორენოვანი კრებულები	100	276
პუბლიცისტური ნარკვევები	300	226
ჟურნალები	3170	5191

სამეცნიერო კრებულები	200	190
სამეცნიერო ჟურნალები	690	1132
სამეცნიერო შრომები	700	1474
სახელმძღვანელო	5110	8860
ტომეული	15	842
შრომები	300	986
წერილები	250	328

ამასთანავე, მთელი წლის მანძილზე ამზადებდა და ბეჭდავდა სხვადასხვა სახის პოლიგრაფიულ მასალას: პოსტერებს, მოსაწვევ ბარათებს, ბუკლეტებს, ფლაერებს, სავიზიტო ბარათებს, სერტიფიკატებს და ათიშებს, სატიტულო ფურცლებს (ბლანკებს) უნივერსიტეტის მიმდინარე საჭიროებისათვის. სულ დაბეჭდილია 163554 ტირაჟი. ამუშავებდა და ბეჭდავდა უცხოურ გამომცემლობებთან მთარგმნელობითი პროექტით შემოსულ წიგნებს. დაიბეჭდა თარგმნის პროექტით შემოსული წიგნები: Introductory Econometrics, Pocket Atlas of Human Anatomy, ეკონომიკური ზრდა საერთაშორისო ბიზნესი, ანთროპოლოგია, Making History, European Intellectual Property Law.

დასახელება	გვერდების რაოდენობა
Introductory Econometrics	621
Pocket Atlas of Human Anatomy	575
ეკონომიკური ზრდა	582
საერთაშორისო ბიზნესი	1138
ანთროპოლოგია	258
Making History	432
European Intellectual Property Law	636

წარმოების პროცესშია: Foundation of electromagnetic theory; Study guide for international economics theory and policy; ალბათობა I წიგნი; ალბათობა II წიგნი; ჰარისონი; საბისტონის ქირურგია,კლინიკური ფარმაკოლოგია, An Introduction to International Institutional law, Understanding Human,Development, ეკონომიკური განვითარება, Managerial Economics, შედარებით საჯარო პოლიტიკა, Business, Qualitative Research, Experimental Psychology, Korpusgestützte Textanalyse, One-Dimensional Man, Modern Labor Economics, Saving Capitalism: For the Many, Not the Few, Учебник Современного Иврита для Начинающих.

დასახელება	გვერ დები	შენიშვნა

Foundation of electromagnetic theory	380	დასაბეჭდად მიეწოდება ნაწილ- ნაწილ
Study guide for international economics theory and policy	300	დაკაბადონების პროცესშია
ალბათობა I წიგნი	700	დაკაბადონების პროცესშია
ალბათობა II წიგნი	3359	რედაქტირების პროცესშია
ჰარისონი	22 800	მცირე ნაწილია შემოსული
საბისტონის ქირურგია	8 400	შემოსულია 459 გვერდი
კლინიკური ფარმაკოლოგია	1 160	დასაბეჭდად მიეწოდება ნაწილ-ნაწილ
An Introduction to International Institutional law	480	დასაბეჭდად მიეწოდება ნაწილ-ნაწილ
Understanding Human Development	800	დაკაბადონების პროცესშია
ეკონომიკური განვითარება	1160	დასაბეჭდად მიეწოდება ნაწილ-ნაწილ
Managerial Economics	850	დაკაბადონების პროცესშია
შედარებით საჯარო პოლიტიკა	497	რედაქტირების პროცესშია
Business	825	რედაქტირების პროცესშია
Qualitative Research	750	რედაქტირების პროცესშია
Experimental Psychology	780	რედაქტირების პროცესშია
Korpusgestützte Textanalyse	207	მიმდინარეობს მოლაპარაკება ლიცენზიის მოსაპოვებლად
One-Dimensional Man	324	მიმდინარეობს მოლაპარაკება ლიცენზიის მოსაპოვებლად
Modern Labor Economics	650	მიმდინარეობს მოლაპარაკება ლიცენზიის მოსაპოვებლად
Saving Capitalism: For the Many, Not the Few	304	მიმდინარეობს მოლაპარაკება ლიცენზიის მოსაპოვებლად
Учебник Современного Иврита для Начинающих	280	მიმდინარეობს მოლაპარაკება ლიცენზიის მოსაპოვებლად

გამომცემლობა აქტიურად მუშაობდა თანამდროვე სტანდარტებისა და მოთხოვნების შესაბამის ელექტრონულ გამოცემებზე. გამომცემლობის ვებ გვერდზე შესაძლებელია ელექტრონული გამოცემების, სამცნიერო ნაშრომების, დისერტაციების ნახვა.

უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში სისტემატურად მიმდინარეობს წიგნადი ფონდის შევსება-განახლება სამეცნიერო, სასწავლო და მხატვრული ლიტერატურით. ასევე, პერიოდული გამოცემებით.

ფონდების შევსებისას დიდი ყურადღება ექცევა თანამედროვე მომხმარებლის ინტერესების გათვალისწინებას. ბიბლიოთეკის მიზანია მოემსახუროს ყველა კატეგორიის მკითხველს: სტუდენტებს, მეცნიერ-მკვლევარებს, აკადემიურ პერსონალს,უნივერსიტეტის სტუმრებსა და ა.შ. 2017 წელს ბიბლიოთეკაში შემოვიდა, აღირიცხა და დამუშავდა 8 473 დასახელების 12 488 საბიბლიოთეკო ერთეული. აქედან 2 011 დასახელების 3306 წიგნი შეძენილია ტენდერით. წინა წელთან შედარებით 1101 დასახელებით მეტი (2016 წელს შემოვიდა 7 372 დასახელების 13 397 საბიბლიოთეკო ერთეული, მათ შორის შეძენილი წიგნების რაოდენობა იყო 1527 დასახელების 3 386 ერთეული).

ყოველწლიურად უნივერსიტეტი ბიუჯეტში ითვალისწინებს წიგნების შესაძენ თანხას. 2017 წლის ბიუჯეტით წიგნების შესაძენად გათვალისწინებული იყო სულ 184 000,0 ლარი (წინა წელთან შედარებით 20 ათასი ლარით ნაკლები), საიდანაც დაიხარჯა 183 891,30 ლარი. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა წარმატებით თანამშრომლობს საქართველოს ცნობილ გამომცემლობებთან. ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის საფუძველზე, ბიბლიოთეკა რეგულარულად იღებს მათ მიერ დასტამბული წიგნების თითო ეგზემპლარს. 2017 წელს გამომცემლობებისგან საჩუქრად მიღებული იქნა 487 ერთეული წიგნი.

ასევე ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი ივსება ქართველ მეცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა შემოწირული წიგნებით. შემომწირველებთან 337 ინდივიდუალური ხელშეკრულება გაფორმდა. მუდმივად განახლებადია ბიბლიოთეკის ფონდი, საიდანაც მკითხველებს წიგნების გატანა გარკვეული ვადით შეუძლიათ. 2017 წელს ბიბლიოთეკაში დამატებით ჩაეწერა 885 მკითხველი, გაიცა 4649 წიგნი, დაბრუნდა – 4624.

წიგნადი ფონდის ინვენტარიზაციის პროცესი რომელიც დაიწყო 2011 წელს დღესაც გრძელდება (საბიბლიოთეკო ერთეულები ითვლება შტრიხ კოდების მეშვეობით). 2017 წელს, მიმდინარე ინვენტარიზაციის ფარგლებში, შტრიხკოდი მიენიჭა 28 960 საბიბლიოთეკო დოკუმენტს. სულ შტრიხ კოდი მინიჭებული აქვს 1 756 279 საბიბლიოთეკო ერთეულს.

ბიბლიოთეკის ადმინისტრაცია აქტიურ მონაწილეობას იღებს საბიბლიოთეკო სამართლებრივი დოკუმენტების შექმნაში. 2017 წელს ბიბლიოთეკის ინიციატივით შემუშავდა 95 ნორმატიული დოკუმენტის პროექტი.

უკვე მეოთხე წელია წარმატებით მიმდინარეობს ბიბლიოთეკაში დაცული ფონდების ელექტრონულ კატალოგში შეტანა, რაც ბიბლიოთეკის მომხმარებელს საშუალებას აძლევს ადვილად მოიძიოს მისთვის საჭირო მასალა ელექტრონულად და იხილოს, თუ რა სახის საბიბლიოთეკო დოკუმენტებია დაცული ფონდებში. 2017 წელს ელექტრონულ კატალოგში შევიდა 45 630 ახალი ჩანაწერი და 27 666 ახალი ბარათი დაემატა. სტუდენტებისთვის სასწავლო ლიტერატურის ხელმისაწვდომობის მიზნით ბიბლიოთეკაში ხორციელდება ლიტერატურის გაციფრება და ვებ–გვერდზე ატვირთვა. დიგიტალიზაციის ჯგუფის მიერ დასკანერდა საბიბლიოთეკო დოკუმენტების 177 420 გვერდი. ბიბლიოთეკის ვებ-გვერდზე 2017 წელს ციფრულ ბიბლიოთეკაში (ebooks.tsu.ge), განთავსდა 451 საბიბლიოთეკო დოკუმენტის ელექტრონული ვერსია. დაგეგმილია ელექტრონული რესურსების ვებ-საიტის eBooks.tsu.ge შემდგომი განვითარება და შევსება, რაც გულისხმობს მისი ანტივირუსული მდგრადობის უზრუნველყოფას და დოკუმენტების (წიგნები, აუდიოფაილები, დისერტაციები და ფოტოსურათები) დასკანერებული ასლების ატვირთვას. აგრეთვე მიმდინარეობს ელექტრონული კატალოგის შესაბამისი რესურსების გადაყვანა eBooks.tsu.ge ვებ-საიტზე.

სტუდენტთა და პროფესორ-მასწავლებელთა ინფორმაციული უზრუნველყოფის გაუმჯობესების მიზნით აქტიურად გამოიყენება სოციალური მედიის რესურსები. დასკანერებული დოკუმენტების ციფრული არქივის საიმედო დაცვის მიზნით მიმდინარეობს CD დისკებზე გადატანა. სულ ჩაიწერა 1694

PDF ფაილი, ასევე ელ.კატალოგისთვის ითარგმნა 800 ტერმინი. სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალისთვის უზრუნველყოფილია თანამედროვე ელექტრონულ სამეცნიერო ბაზებზე (BioOne, Oxford Online dictionary, Econlit, EbscoHost, New England Journalof Medicine, OECD-iLibrary, Cambridge Journals Collection, Jstory) წვდომა, როგორც უნივერსიტეტის შიდა, ასევე გარესივრციდან. ამისთვის გაფორმდა პირდაპირი ხელშეკრულება სამეცნიერო ბაზების მომწოდებლებთან. განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დახმარებით უნივერსიტეტი კვლავ სარგებლობს Scopus მონაცემთა ბაზებით. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში, რეგულარულად მიმდინარეობს საბიბლიოთეკო დოკუმენტების რესტავრაცია. 2017 წელს რესტავრაცია ჩაუტარდა - 383 საბიბლიოთეკო ერთეულს. რესტავრაცია ჩაუტარდა „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის (1918–1921წწ.)“ ცენტრალური ბიბლიოთეკის 45 საარქივო დოკუმენტს. დეზინფექცია ჩაუტარდა და გაიწმინდა ობის სოკოსგან დაზიანებული 185 საბიბლიოთეკო დოკუმენტი. ამოიბეჭდა, აიკინძა, ყდაში ჩაისვა და საბიბლიოთეკო დოკუმენტად დამზადდა ფაკულტეტებიდან გადმოცემული 390 ერთეული წიგნი. აგრეთვე 56 ბლოკად აიკინძა და ყდაში ჩაისვა გაზეთები. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში სისტემატურად ეწყობა გამოფენები და წიგნის პრეზენტაციები. 2017 წელს უნივერსიტეტის ბიბლიოთეკამ მოაწყო შემდეგი გამოფენები: აკაკი შანიძის ნაშრომების გამოფენა; ავტოკეფალია 100 ბიბლიოთეკის საგანძური; გიორგი ახვლედიანის ნაშრომების გამოფენა; ,,ვეფხისტყაოსანი'' და რუსთაველის ეპოქა; ,,გერმანული კულტურა და მეცნიერება'', ქირურგიის პირველი საერთაშორისო კონგრესი; ქართულ-ოსური ურთიერთობები; ,,ჩემო კალამო''ილია ჭავჭავაძის შემოქმედება. გარდა ამისა წიგნის პრეზენტაციები: ალექსანდრე ცისკარიძის წიგნის: ,,მკურნალობასთან დაკავშირებული ინსულტი'' პრეზენტაცია; დათო მაღრაძის ახალი პოეტური კრებულის პრეზენტაცია; პეტრე კონჭოშვილის წიგნის ,,მოგზაურობა წმინდა ქალაქს იერუსალიმსა და ათონის მთაზედ წარდგინება (წარმდგენი - ისტორიკოსი ვაჟა კიკნაძე); ,,ვეფხისტყაოსნის'' ოთხი ახალი თარგმანების პრეზენტაცია (არაბული, ჩეჩნური, გერმანული და ინგლისური); ცისანა კვერნაძე-მიქაძის წიგნის ,,გერმანული ენის გრამატიკა'' პრეზენტაცია და სხვა.

ბიბლიოთეკა პერიოდულად გამოსაცემად ამზადებს ფონდებში დაცული კოლექციების აღწერილობებს, ლიტერატურული ალმანახების საძიებლებს. დაიბეჭდა ბიბლიოთეკის ელექტრონული ბაზების გზამკვლევი, ოთხი გამოფენის კატალოგი, მომზადდა თამაზ ჭილაძისა და ალექსანდრე კლდიაშვილის პირადი კოლექციის აღწერილობა. გამოსაცემად მომზადდა საუნივერსიტეტო გაზეთი სანოტირებული ბიბილიოგრაფიული საძიებელი, რომელიც მოიცავს 1927–1941 წწ. გამოცემულ გაზეთებში საუნივერსიტეტო ცხოვრების ამსახველ მასალას. ანალიტიკურად დამუშავდა და ელექტრონულ კატალოგში შევიდა გაზეთის „თბილისის უნივერსიტეტი“ (1963 – 2017წწ) 3 315 სტატია. საუნივერსიტეტო ჟურნალებიდან ელ. კატალოგისთვის დამუშავდა 1337 სტატია. ბიბლიოთეკას პერიოდული გამოცემების მდიდარი ფონდები აქვს. 2017 წელს ელექტრონულ კატალოგში 480 დასახელების 1340 ერთეული ჟურნალი აღირიცხა. დამუშავდა და ელექტრონულ კატალოგში აღირიცხა 175 ფოტო დოკუმენტი. ინტენსიურად მიმდინარეობს ბიბლიოთეკაში დაცული მიკროფირების შესწავლა–გაციფრების პროცესი. ბიბლიოთეკის ფონდებში დაცული ქართული და უცხოური იშვიათი გამოცემების უკეთესად წარმოჩენისა და პოპულარიზაციის მიზნით, მიმდინარეობს ხელუხლებელი, აღმოსავლური და საისტორიო საეთნოგრაფიო საზოგადოების ფონდებიდან იშვიათი გამოცემების საცავში განთავსება – დამუშავება, 2017 წელს გადმოტანილ იქნა 6968 ერთეული, სულ იშვიათ გამოცემათა საცავში განთავსებულია 46 593 ერთეული. ბიბლიოთეკის „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის (1918-1921 წწ.) შემსწავლელმა ცენტრმა-ბიბლიოთეკამ 2017 წლის განმავლობაში აქტიურად აწარმოა საქმიანობა საბიბლიოთეკო-კვლევითი მიმართულებით.

ბიბლიოთეკა აერთიანებს რამდენიმე საფაკულტეტო ბიბლიოთეკას და სამ სამკითხველო დარბაზს, რომლითაც ყოველწლიურად ათასობით მკითხველი სარგებლობს. 2017 წელს იურიდიული ფაკულტეტის ბიბლიოთეკა მოემსახურა –83 000 მდე მკითხველს, ეკონომიკისა და ბიზნესის–3200 მდე მკითხველს, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის –2300 მდე მკითხველს, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი–17900 მდე მკითხველს, შოთა რუსთაველის სახელობის სამკითხველო დარბაზი– 103 618 მკითხველს, გრიგოლ წერეთლის სახელობის სამკითხველო დარბაზი – 4000 მკითხველს და სიმონ ყაუხჩიშვილის სახელობის სამკითხველო დარბაზი – 1300 მდე მკითხველს. სულ სამკითხველო დარბაზების მომსახურებით ისარგებლა 215 318 მკითხველმა. უნარშეზღუდულ მკითხველთა საგანმანათლებლო სივრცეში სრულფასოვანი ინტეგრაციის მიზნით, ბიბლიოთეკაში ფუნქციონირებს სპეციალური კომპიუტერული ტექნიკით აღჭურვილი ჯგუფური მუშაობის სივრცე.

უნივერსიტეტის მუზეუმმა, რომელიც სხვადასხვა დარგის მუზეუმებს აერთიანებს, 2017 წელს განახორციელა შემდეგი აქტიობები. კერძოდ, არქეოლოგიის მუზეუმი: აღრიცხა არქეოლოგიური მონაპოვარი (## თია 2118-2458, ბრა 317-318, რკა –63-65, მია - 26, ქვა 18-27, ძვა 16-17), აღსარიცხად მომზადდა ასპინძის მუნიციპალიტეტში ბერი კლდეებზე გამოვლენილი სამარხეული და ბოლნისის მუნიციპალიტეტში აბულმუგზე გამოვლენილი ნამოსახლარის მასალები; საქართველოს ენციკოლპედიას გადაეცა 11 სამეცნიერო სტატია; მუზეუმის თანამშრომლები მონაწილეობდნენ საველე არქეოლოგიურ ექსპედიციებში და ატარებდნენ ლექციებსა და სასწავლო-პრაქტიკულ სამუშაოებს სტუდენტებთან. ისტორიის მუზეუმი: აკად. გ. ახვლედიანის პირადი ფონდიდან აღრიცხა ნაბეჭდი მასალები (## ნმი 1151-1270) ექსპონატები და სამეცნიერო-დამხმარე ფონდის მასალები (## 1249/1-49; 1240/1-38;1250/1-40); გასატარებლად მომზადდა გ.ახვლედიანის პირადი წერილები (900-მდე ერთეული). მუზეუმის მასალებს სისტემატურად ეცნობოდნენ მკვლევარები და სტუდენტები; მუზეუმის მასალები სისტემატურად გამოიყენებოდა სხვადასხვა მემორიალური გამოფენების მოსაწყობად. გეოგრაფიის მუზეუმი: აკად. ალ. ჯავახიშვილის პირადი ფონდიდან აღირიცხა ხელნაწერი (ხგ-201-320), ნეგატივ- პოზიტივი (ნპგ-966-1006) მასალები და სამეცნიერო დამხმარე ფონდის ## 66-165 ნივთები. მოხდა ნეგატივ-პოზიტივიებზე დატანილი გამოსახულებების იდენტიფიკაცია და მათი თემატური დალაგება, შეფუთვა და ჩალაგება (## 700-1006); მომზადდა პროფესორ ნიკო ბერუჩაშვილისადმი მიძღვნილი გამოფენა. პალეონტოლოგის მუზეუმი: დაიწყო ექსპონანტების აღრიცხვა და სპეციალურ წიგნებში გატარდა პალეონტოლოგიური მასალები (## ცპ-1-634). მინერალოგიის მუზეუმი: მომზადებულია მასალები მოკლე მინერალოგიური ლექსიკონისათვის. ზოოლოგიის მუზეუმი: ექსპონატებს ჩაუტარდა ყოველწლიური დეზინსექცია-დეზინფექცია; მუზეუმის ექსპოზიციას რეგულარულად ათვალიერებდნენ როგორც თბილისიადან, ისე რეგიონებიდან ჩამოსული სკოლების მოსწავლეები. ქართული ემიგრაციის მუზეუმი: ჩატარდა თსუ საბავშვო უნივერსიტეტის კვირეული, მოეწყო შეხვედრა წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისა და ილია ჭავჭავაძის სახელობის უნივერსიტეტის სტუდენტებთან; სკოლის მოსწავლეებისათვის ჩატარდა 40 მეტი ექსკურსია; გაიმართა შეხვედრა მხატვრულ-დოკუმენტური ფილმის "დაკარგული ქართველი ქალის" გადამღებ ჯგუფთან. მოამზადდა და 108 ერთეული დოკუმენტის ელექტრონული ვერსია გადაუგზავნა პოლონეთში საქართველოს საელჩოს საქართველო-პოლონეთის დიპლომატიური ურთიერთობების 25 წლისთავისადმი მიძღვნილი გამოფენისათვის. ასევე მასალები მიეწოდა მექსიკაში საქართველოს საელჩოს; მუზეუმმა უმასპინძლა ქართველ ემიგრანტთა საერთაშორისო ფესტივალის მონაწილეებს და ემიგრანტ

ბავშვებს. ვაჟა-ფშაველას მემორიალური მუზეუმი: სისტემატურად ტარდებოდა ლექცია-საუბრები ვაჟა-ფშაველას ცხოვრებისა და შემოქმედების საკითხებზე სტუდენტებთან და მოსწავლეებთან. მუზეუმის დროებითი გამოფენების დარბაზში სისტემატიურად ეწყობოდა გამოფენები. კერძოდ, მოეწყო უნივერსიტეტის 100 წლის იუბილისადმი მიძღვნილი ფოტო დოკუმენტური გამოფენა; აკადემიკოს აკაკი შანიძის 130 წლისთავისადმი მიძღვნილი ფოტოდოკუმენტური გამოფენა; თსუ-ს სტუდენტთა მხატვრული ნამუშევრების საგაზაფხულო გამოფენა; საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობის ავტოკეფალიის 100 წლისთავისადმი მიძღვნილი გამოფენა; აკადემიკოს გიორგი ახვლედიანის 130 წლისთავისადმი მიძღვნილი ფოტო დოკუმენტური გამოფენა; ქართული ენის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებების ფარგლებში გაიმართა გამოფენა.

რესურსების მართვა

პერსონალის მართვის დეპარტამენტის მიერ, საერთაშორისო აუდიტის მოთხოვნის შესაბამისად დამუშავდა და წარმომადგენლებს მიეწოდათ ინფორმაცია თსუ პერსონალის და თსუ სტრუქტურის შესახებ. კერძოდ, პერსონალის რიცხოვნობა და შემადგენლობა კატეგორიების მიხედვით (აკადემიური, სამეცნიერო, ადმინისტრაციულ- დამხმარე) გენდერულ ჭრილში; შტატი და შტაგარეშე პერსონალის რაოდენობა და თანაფარდობა, პერსონალის დენადობის ანალიზი -დენადობის მიზეზების მითითებით, ინფორმაცია კონტრაქტებში ცვლილებების შესახებ; ასაკობრივი შემადგენლობა; პერსონალზე გაწეული ხარჯების ანალიზი (ხელფასის, პრემიის, დანამატის, მივლინებისა და დაზღვევის გათვალისწინებით); დასაქმებულთა რაოდენობა და შემადგენლობა სტრუქტურული ერთეულების მიხედვით; პერსონალის მართვის პოლიტიკა პროცედურების აღწერით. ავტორიზაციის ახალი სტანდარტების შესაბამისად, თვითშეფასების მოთხოვნებიდან გამომდინარე, 2017 წლის ოქტომბერ-დეკემბრის თვეებში დამუშავდა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს მიეწოდა ინფორმაცია: პერსონალის მოზიდვის, შერჩევის, დასაქმებისა და პროფესიული განვითარების რეგულაციების, პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნების, აკადემიური პერსონალის საკონკურსო დოკუმენტაცის, გამოცხადებულ ვაკანსიებზე შეტანილი განცხადებების რაოდენობის, თსუ პერსონალის რაოდენობისა და შემადგენლობის შესახებ. პერსონალის დატვირთვის სქემა-სააუდიტორიო დატვირთვის ნაწილში. პერსონალის მართვის პოლიტიკისა და რეგულაციების შესახებ დაინტერესებული პირების ინფორმირების მექანიზმები. მომზადდა პროექტი აკადემიური პერსონალის აფილირების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ, ასევე დამხმარე პერსონალის მუშაობის შეფასების წესის შესახებ.

პერსონალის მართვის დეპარტამენტის მიერ გაწეული სამუშაო ასევე მოცულობითია ფაკულტეტებზე მოწვეულ პედაგოგებთან მიმართებაში. სასწავლო წლის განმავლობაში ორჯერ, შემოდგომის და გაზაფხულის სემესტრების მიხედვით, ფაკულტეტებიდან წარმოდგენილი სააუდიტორიო საათების გათვალისწინებით, მოწვეულ სპეციალისტებთან (პედაგოგებთან) გაფორმდა შრომითი ხელშეკრულებები. 2017 წელს მომზადდა და გაფორმდა 2707 ხელშეკრულება. ასევე, თსუ ფაკულტეტებზე და სხვა სტრუქტურულ ერთეულებში, სამუშაოების მოცულობისა და სპეციფიკის გათვალისწინებით, მოწვეულ დამხმარე პერსონალთან განხორციელდა ხელშეკრულებების

გაფორმება ან განახლება, წლის განმავლობაში მომზადდა და გაფორმდა - 1213 შრომითი ხელშეკრულება, დამუშავებული და რეაგირებულია 7450-მდე სხვადასხვა შინაარსის დოკუმენტი (2016 წელთან შედარებით დეპარტამენტში შემოსული კორესპონდენციის რაოდენობა გაზრდილია 250-ით).

დეპარტამენტი ახორციელებდა თსუ-სა და სადაზღვევო კომპანია "იმედი L"-ს შორის ჯანმრთელობის დაზღვევის პროგრამის ფარგლებში გაფორმებული ხელშეკრულების ცალკეული საკითხების კოორდინაციას (ჯანმრთელობის დაზღვევის პროგრამით მოცული იყო თსუ აკადემიური და ადმინისტრაციულ-დამხმარე პერსონალი და მათი ოჯახის წევრები, სულ 2247 პირი. უნივერსიტეტის თანამშრომელთა დაზღვევაზე დაიხარჯა 1 133 479 ლარი.

საქართველოს მთავრობის 2013 წლის 26 აგვისტოს N 2019 დადგენილების „საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნისა და პრაქტიკულად გამოქვეყნების შესახებ" მოთხოვნის შესაბამისად, დეპარტამენტის მიერ მომზადდა და თსუ ვებ გვერდზე ვადების დაცვით განთავსდა ინფორმაცია საკადრო უზრუნველყოფის შესახებ (იხ. www.tsu.ge - საჯარო ინფორმაცია საკადრო უზრუნველყოფის შესახებ). 2017 წელს დასრულდა 2007-2009 წლებში მოწვეულ პერსონალთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებების შესაბამისი წესით დამუშავება და არქივისათვის გადაცემა (1332 ერთეული), ასევე დამუშავდა და არქივს გადაეცა 2009 -2011 წლების პირადი საქმეები (350 პირადი საქმე).

დეპარტამენტი თსუ მასშტაბით კოორდინაციას უწევდა საჯარო დაწესებულებებში სტაჟირების გავლის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელ სამუშაოებს. კერძოდ: სტაჟიორების მიღებას, ხელმძღვანელების გამოყოფას, სტაჟირების პროცესის მიმდინარეობას, ინფორმაციის მიწოდებას საჯარო სამსახურის ბიუროსთან, სერთიფიკატების გაცემას (აღნიშნული პროგრამის ფარგლებში თსუ-სხვადასხვა სტრუქტურულ ერთეულში 2017 წლებში სტაჟირება გაიარა 18 პირმა). ხოლო სტრუქტურული ერთეულებიდან წარმოდგენილი მოთხოვნების საფუძველზე 29 სტაჟიორმა.

მატერიალური რესურსების მართვის დეპარტამენტი, 2017 წლის განმავლობაში, აქტიურად ასრულებდა მასზე დაკისრებულ ფუნქციებს: უზრუნველყოფდა თსუ-ს კორპუსებში არსებული საკომუნიკაციო სისტემების გამართულ მუშაობას, ასევე კომუნალური გადასახადებისათვის დოკუმენტაციის მომზადებას და გადახდაზე კონტროლს. სატენდერო დოკუმენტაციის მომზადებას, სახარჯი და სანიტარული საშუალებებისა და ავეჯის შესყიდვის მიზნით, სამშენებლო-სარემონტო და საექსპლუატაციო სამუშაოების ორგანიზებულად წარმართვას და შემსრულებელ ორგანიზაციაზე მუდმივი ზედამხედველობისა და კონტროლის განხორციელებას, საინვენტარიზაციო და ჩამოწერის კომისიასთან აქტიურ თანამშრომლობას, სამეურნეო და სატრანსპორტო მომსახურებას.

დეპარტამენტის ძალისხმევით მე-11 (ბიოლოგების) კორპუსში ჩატარდა აუდიტორიების გადახურვის სამუშაოები (პროექტის ღირებულება 170 760 ლარი); დასრულდა მაღლივი კორპუსის ფანჯრების გამოცვლა (179 760 ლარი); სასწავლო კორპუსებში გარემონტდა სველი წერტილები; გადაიხურა პირველი კორპუსის ეზოში მდებარე სასადილოს საწყობი (7 738 ლარი); სხვადასხვა კორპუსებში გარემონტდა აუდიტორიები, კაბინეტები და ლაბორატორიები; თსუ-ს რაფიელ აგლაძის არაორგანულ ქიმის და ელექტრო ქიმიის ინსტიტუტში ჩატარდა სარემონტო სამუშაოები, გარემონტდა სანკვანძები და გადაიხურა კორპუსი (162 453 ლარი); პეტრე მელიქიშვილის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტში შეიცვალა ფანჯრები და დამონტაჟდა ვიტრაჟი კიბის უჯრედში (42 563 ლარი); ეროვნულ სამეცნიერო ბილიოთეკაში და მიხეილ ნოდიას სახელობის გეოფიზიკის ინსტიტუტში გარემონტდა სველი წერტილები; ალექსანდრე ნათიშვილის სახელობის მორფოლოგიის ინსტიტუტში გარემონტდა ლაბორატორიები, ოთახები, მოეწყო სარინელი და პანდუსი (50 478 ლარი); ელეფთერ

ანდრონიკაშვილის სახელობის ფიზიკის ინსტიტუტში გარემოტდა ოთახი და ერთი სართულის სველი წერტილი; შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში გარემონტდა სააქტო დარბაზი, ასევე ჩატარდა სარემონტო სამუშაოები ვახუშტი ბაგრატიონის გეოგრაფიის ინსტიტუტის ბათუმის სტაციონარში (15 183 ლარი) და ალექსანდრე ჯანელიძის სახელობის გეოლოგიის ინსტიტუტში(37 299 ლარი); ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტში მოეწყო მუზეუმი(16 906 ლარი); თსუ-ს მე-4, მე-6 და ცენტრალური ბიბლიოთეკის კორპუსებში შეიცვალა გათბობის სტაციონარული ქვაბები. ასევე, რეაბილიტაცია ჩაუტარდა თსუ-ს სხვადასხვა კორპუსების საქვაბეებს. შემოწმდა, შეკეთდა და განახლდა თსუ-ს კორპუსების ტრანსფორმატორები და დამონტაჟდა სხვადასხვა კორპუსების ლაბორატორიებისთვის დამიწების კონტური. თსუ-ს და შემოერთებული სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების კორპუსებში არსებულ ლიფტებს ჩაუტარდათ ტექნიკური დათვალიერება (16 638 ლარი) და წარმოდგენილი დეფექტური აქების შესაბამისად გამოცხადდა ტენდერი სარემონტო სამუშაოებზე. ათწლეულების განმავლობაში პირველად, 2017 წელს სრული რეაბილიტაცია ჩაუტარდა თსუ სასწავლო კორპუსების არსებულ სანკვანძებს და ასევე ყველა კორპუსში მოეწყო შშმპ საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი სველი წერტილები (586 580 ლარი).

უნივერსიტეტს სარგებლობაში გადმოეცა ნუცუბიძის ფერდობზე, მე-4 მ/რ-ში ლისის ტბის მიმდებარე ტერიტორიაზე მდებარე 320 სტუდენტზე გათვლილი საერთო საცხოვრებელი. აღნიშნულთან დაკავშირებით შემუშავებულ იქნა სტუდქალაქის ახალი შინაგანაწესი, დადგენილ იქნა სტუდქალაქით სარგებლობის ახალი ტარიფები. შემუშავებულ იქნა სტუდქალაქით სარგებლობის ხელშეკრულების ახალი ფორმა. შეიქმნა სტუდქალაქის საცხოვრებელი ადგილების და მობინადრეების ელექტრონული ბაზა. წლის განმავლობაში სტუდქალაქში შესახლებულ იქნა 200-მდე ახალი სტუდენტი (152 სტუდენტი - ბაგების საერთო საცხოვრებელი, 48 სტუდენტი - ლისის საერთო საცხოვრებელი). სტუდქალაქის ბაგების საერთო საცხოვრებელში სტუდენტთათვის პირველ კორპუსში მოეწყო 24 საათიანი რესურს-ცენტრი, კონდიციონერით, ინტერნეტით, 15 კომპიუტერით.

2017 წელს, განხორციელდა უნივერსიტეტის მიერ სხვადასხვა პერიოდში მოძრავი ქონების ჩამოწერის შედეგად მიღებული 81680კგ. შავი ლითონის ჯართის რეალიზება, საერთო ღირებულებით 44 609 ლარი. გატანილ და უტილიზირებული იქნა 10 ტონა ქიმიური რეაქტივი.

საფინანსო დეპარტამენტი, 2017 წლის სამუშაო გეგმის შესაბამისად წარმათავდა საქმიანობას, რომელშიც გათვალისწინებული იყო უნივერსიტეტის პრიორიტეტული მიმართულებების, სასწავლო სამეცნიერო პროცესის შეუფერხებელი მიმდინარეობისა და სტუდენტთა სამეცნიერო-კვლევით, კულტურულ-სპორტულ აქტივობებში ჩართულობის ფინანსური მხარდაჭერის უზრუნველყოფა.

თსუ 2017 წლის ბიუჯეტის პროექტის მაჩვენებლები შემუშავდა საგანმანათლებლო და სხვა სტრუქტურული ერთეულებიდან, ასევე, უნივერსიტეტის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტების და ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკიდან წარმოდგენილი მონაცემების დამუშავების, მათთან კონსულტაციებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე. ბიუჯეტის პროექტი, დროულად წარედგინა თსუ აკადემიურ და წარმომადგენლობით საბჭოს, რაც 2016 წლის 23 დეკემბერს დამტკიცდა წარმომადგენლობითი საბჭოს დადგენილებით (ოქმი#9 23,12,2016 წელი).

თსუ 2017 წლის ბიუჯეტის შემოსავლებს ძირითადი წყაროების მიხედვით წარმოადგენდა: ა) ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლები-46 397 527 ლარი, ბ) სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ხელშეწყობის პროგრამა- 11 161 474 ლარი, გ) სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსებული ,,სახელმწიფო სტიპენდია სტუდენტებს'' და პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან სტიპენდია- 949 080 ლარი, დ) სახელმწიფო ბიუჯეტიდან

,,საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების და საიუბილეო ღონიაძიებების''–7 165 976 ლარი, ე) პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან-243 497ლარი, ვ) ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტები- 6 824 824 ლარი და ზ) საერთაშორისო გრანტები -2 299 950 ლარი.

2017 წლის ბიუჯეტის გადასახდელებმა სულ შეადგინა 74 450 731 ლარი. მათ შორის: ,,შრომის ანაზღაურების'' მუხლით-34 588 297 ლარი; ,,შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება'' -16 645 356 ლარი; ,,მივლინებები'' 1 688 932 ლარი; ,,ოფისის ხარჯები'' 6 535 268 ლარი; ,,წარმომადგენლობითი ხარჯი'' 498 467 ლარი; ,,კვების ხარჯები''-10 548 ლარი; სამედიცინო ხარჯები-64 249 ლარი; ,,რბილი ინვენტარისა და უნიფორმის შეძენის ხარჯი'' - 113 081 ლარი; ,,ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლუატაციისა და მოვლა შენახვის ხარჯი''-279 976 ლარი; ,,სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების ხარჯი''- 1 142 721 ლარი; ,,სუბსიდიები"- 1 363 265 ლარი; ,,გრანტები'' 300 935 ლარი; სოციალური უზრუნველყოფა-174 783 ლარი; ,,სხვა ხარჯები''-7576 93 ლარი; ,,არაფინანსური აქტივების ზრდა''- 3 436 874 ლარი, ,,ვალდებულებები"-31 045 ლარი.

2017 წლის გადასახდელებში, სასწავლო, სამეცნიერო-კვლევითი პროგრამების ფარგლებში, სწავლის საფასურისა და კანონმდებლობით ნებადართული სხვა შემოსავლებით გაწეულმა გადასახდელებმა შეადგინა -53 548 208 ლარი; სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში, შემოერთებული სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტებისა და ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის -11 161 473 ლარი; სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსებული ,,სახელმწიფო სტიპენდია სტუდენტებს'' და პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან სტიპენდიის-949 080 ლარი; სახელმწიფო ბიუჯეტიდან ,,საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების, ადმინისტრაციული მართვის ოპტიმიზაციის პროგრამის და საიუბილეო ღონისძიებებისათვის''- 559 492 ლარი; პრეზიდენტის სარეზერვო ფონდის-243 497; ეროვნული სამეცნიერო ფონდის -5 959 175 ლარი და საერთაშორისო გრანტების -2 029 806 ლარი.

2017 წელს თსუ ეკონომიკური შემოსავლებიდან შეძენილია 304 681 ლარის კომპიუტერული ტექნიკა, 284 826 ლარის ქსელური მოწყობილობები, 65 800 ლარის პროექტორები, 247 419 ლარის ავეჯი, 76 264 ლარის სამედიცინო მოწყობილობები, 125 076 ლარის ლაბორატორიული ხელსაწყოები და მოწყობილობები, შესრულებულია სულ 1 293 014 ლარის ღირებულების სარემონტო სამუშაოები და ა.შ.

2017 წელს შეუფერხებლად ფინანსდებოდა სხვადასხვა საუნივერსიტეტო სტუდენტური ღონისძიებები. კერძოდ, სტუდენტების მიერ წარმოდგენილი სამეცნიერო, კულტურული, სპორტული პროექტები, საერთაშორისო კონფერენციებში, სემინარებში, საზღვარგარეთის უმაღლეს სასწავლებლებთან გაცვლით პროგრამებში, იმიტირებულ პროცესებში და სხვა ღონისძიებებში სტუდენტების მონაწილეობები.

2017 წელს შექმნილმა სტუდენტური პროექტების დაფინანსების განმსაზღვრელმა საბჭომ 780 000 ლარით დააფინანსა 161 სამეცნიერო, კულტურული და სპორტული სტუდენტური პროექტი. მათ შორის, სამეცნიერო პროექტების დაფინანსებამ შეადგინა აღნიშნული პროექტების ბიუჯეტის 67%, ხოლო კულტურული და სპორტული სტუდენტური პროექტების დაფინანსებამ 33%. წარჩინებული სტუდენტები უზრუნველყოფილნი იყვნენ 150 ლარიანი სახელმწიფო სტიპენდიით. სემესტრულად 618-616 წარჩინებულ სტუდენტზე გაიცა 938 100 ლარის სახელმწიფო სტიპენდია. გარდა ამისა, გაიცა სხვადასხვა სახელობითი სტიპენდიები, კერძოდ, ოთარ ჩხეიძის სახელობის სტიპენდია 2400 ლარი, სულხან-საბა ორბელიანის სახელობის სტიპენდია 1 280 ლარი, ზვიად გამსახურდიას სახელობის სტიპენდია 10 000 ლარი.

საუნივერსიტეტო დაფინანსებიდან დაფინანსდა 667 მაღალი აკადემიური შედეგების მქონე ბაკალავრიატის და მაგისტრატურის წარჩინებული სტუდენტები, სტუდენტთა გაცვლით პროგრამებში, სხვადასხვა სამეცნიერო კონფერენციებში, იმიტირებულ პროცესებში და სხვა ღონისძიებებში მონაწილეობის მისაღებად დაფინანსდა 234 სტუდენტი. ასევე, ბიუჯეტი ფარგლებში ფინანსდებოდა: ლექციების წასაკითხად უცხოეთიდან მოწვეული აკადემიური პერსონალის; სასწავლო ნივთების, მასალების, რეექტივების; გამომცემლობის-სასტამბო; სამეცნიერო ექსპედიციების, სასწავლო და საწარმოო პრაქტიკასთან დაკავშირებული; წიგნადი ფონდის შესაძენად საჭირო ხარჯები, მნიშვნელოვანი სამეცნიერო კონფერენციები, სიმპოზიუმები, საიუბილეო ღონისძიებები; სამეცნიერო მიზნობრივი კვლევითი საქმიანობა და სხვა.

უნივერსიტეტის მიერ, 2017-2018 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში დარეგისტრირებული 938 დოქტორანტიდან 500 დოქტორანტს გაეწია 452 755 ლარის სწავლის გადასახადის შეღავათი.

ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და საერთაშორისო სამეცნიერო გრანტების მომსახურებას როგორც გასულ წლებში, ასევე 2017 წელსაც განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა. მუშავდებოდა ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ გამოცხადებულ სხვადასხვა საგრანტო კონკურსებში მონაწილეობის მისაღებად წარსადგენი საგრანტო პროექტების ხარჯთაღრიცხვები. პროექტების შესაბამისად, დამტკიცებული საგრანტო პროექტების ბიუჯეტის გათვალისწინებით ფორმდებოდა ხელშეკრულებები გრანტის ძირითად და დამხმარე პერსონალთან. გარკვეული მუშაობა გაიწია, საგრანტო პროექტების ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებული მივლინებების, ექსპედიციების (არამარტო საგრანტო პროექტების, თსუ აკადემიური, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის) ბრძანებების პროექტების მომზადებაზე, შესყიდვებისათვის საჭირო პროცედურების განხორციელებაზე, მათი შესრულების მიმდინარეობის შესახებ კვარტალური და წლიური ანგარიშგებების მომზადებაზე, სათანადო ფონდებსა და დონორ ორგანიზაციებში წარდგენაზე.

ასევე გარკვეული მუშაობა გაიწია უნივერსიტეტთან შემოერთებული სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტების (14ინსტიტუტის) და ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკისათვის გამოყოფილი (თითოეულისათვის ცალ-ცალკე) ასიგნებების ხარჯვის მონიტორინგზე, ინსტიტუტებში მიმდინარე გრანტების მომსახურებაზე. 2017 წელს უნივერსიტეტში ერთდროულად მუშავდებოდა და საგეგმო-საფინანსო განყოფილება მისი უშუალო ფუნქციური დატვირთვის გარდა, ემსახურებოდა შემოერთებული ინსტიტუტების ჩათვლით 195 საგრანტო პროექტს (მათ შორის: 167-ეროვნული სამეცნიერო ფონდის, 28 საერთაშორისო გრანტი. საერთო ბიუჯეტით დაახლოებით 7 988 981 ლარი).

2017 წელს შესყიდვების განყოფილება ჩართული იყო სახელმწიფო შესყიდვების დაგეგმვის, განხორციელების და ანგარიშგების ერთიან ელექტრონულ სისტემაში. სახელმწიფო შესყიდვები ხორციელდებოდა დაფინანსების სამი წყაროდან: ეკონომიკური შემოსავლებიდან, საბიუჯეტო დაფინანსებიდან და საგრანტო დაფინანსებიდან. წლის განმავლობაში სულ გამოცხადდა 336 (მ.შ. 3 ორეტაპიანი და 83 აუქციონის გარეშე) ელექტრონული ტენდერი და გამარტივებული ელექტრონული ტენდერი. გამოცხადებული ტენდერების რაოდენობა 4%-ით მეტია წინა წელთან შედარებით. გაფორმდა და აიტვირთა ერთიან ელექტრონულ სისტემაში 1132 ხელშეკრულება. აქედან ტენდერით სახელმწიფო შესყიდვაზე 250 ხელშეკრულება, 804 ხელშეკრულება გამარტივებული, ხოლო 78 კონსოლიდირებული ტენდერით შესყიდვაზე. გაზრდილია სატენდერო შესყიდვების წილი, ხოლო გამარტივებული შესყიდვების წილი არსებითად შემცირებულია. არ შედგა 58 ტენდერი, რაც თითქმის ორჯერ ნაკლებია წინა წლების ანალოგიურ მაჩვენებელზე და ძირითადად განპირობებული იყო მცირეფასიანი საგრანტო შესყიდვებით და ლარის კურსის მერყეობით.

გამოცხადებული ტენდერების, გაფორმებული ხელშეკრულებების და არშემდგარი ტენდერების დინამიკა 2016 -2017 წლებში



ფაქტობრივად წლის განმავლობაში,დაფინანსების ყველა წყაროდან განხორციელდა 10 094 431 ლარის ღირებულების საქონლისა და მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა, რაც წინა წელთან შედარებით 23%-ით ნაკლებია და ძირითადად განპირობებულია ინფრასტრუქტურული პროექტების შემცირებით ელექტრონული ტენდერების საშუალებით განხორციელდა 6 278 150 ლარის შესყიდვა, ხოლო 3703618 ლარის _ გამარტივებული შესყიდვის საშუალებით. 112 663 ლარის პროდუქციისა და მომსახურების გამარტივებული შესყიდვა განხორციელდა გადაუდებელი აუცილებლობით, რაც მთლიანი შესყიდვების 1.1%-ს არ აღემატება. შესყიდვის ამ საშუალების გამოყენება ძირითადად განპირობებული იყო თსუ საკომუნიკაციო სისტემებში ავარიული დაზიანებების ლიკვიდაციისა და საგრანტო პროექტებისათვის აუცილებელი შესყიდვებით.

შესყიდვების მოცულობის დინამიკა 2016-2017 წლებში



შესყიდვების დაფინანსების წყაროს მიხედვით: 6 858 160 ლარის საქონლისა და მომსახურების შესყიდვა განხორციელდა თსუ ეკონომიკური შემოსავლებიდან, 2 754 977 ლარის - სახელმწიფო დაფინანსებით მიღებული სახსრებიდან, ხოლო 1 473 126 ლარის -გრანტების დაფინანსებით.

შესყიდვების ღირებულებითი სტრუქტურა დაფინანსების წყაროების მიხედვით 2016-2017 წლებში





2017 წლის ბოლოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან, საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის პროგრამის ფარგლებში გაფორმდა ხელშეკრულებები და გამოიყო სახსრები: უნივერსიტეტის მეორე კორპუსის სარემონტო სამუშაოებისათვის 5 829 877 ლარი, ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის სარემონტო სამუშაოებისათვის და აღსაჭურვად 577 629 ლარი; უნივერსიტეტის საიუბილეო ღონისძიებებისათვის 1500 000 ლარი; და რაფიელ აგლაძის არაორგანული ქიმიისა და ელექტროქიმიის ინსტიტუტის სარემონტო სამუშაოებისათვის 323 788 ლარი. გაფორმებული ხელშეკრულებებოს შესაბამისად,

სამუშაოები შესრულდება 2018 წელს. დეპარტამენტში 2017 წელს შემოსულია სულ 16960 წერილი, რომლებიც შესაბამისადაა რეაგირებული.

საინფორმაციო ტექნოლოგიების მართვის დეპარტამენტმა, 2017 წელს უნივერსიტეტის სასწავლო და ადმინისტრაციული ინფორმაციული პროცესების მართვის ავტომატიზაციისკენ მიმართული მნიშვნელოვანი პროექტები განახორციელა, რომელთა დახმარებითაც ამაღლდა ინფორმაციული სერვისების მიწოდების სისწრაფე და ხარისხი. კერძოდ, დაინერგა ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემა. ელექტრონული დოკუმენტბრუნვის დანერგვით თსუ-ს საქმისწარმება ბეჭდურიდან სრულად გადავიდა ელექტრონულ პლატფორმაზე. ფინანსთა სამინისტროსთან თანამშრომლობით შეიქმნა ელექტრონული საქმისწარმოების სისტემა, რომელშიც სადღეისოდ უკვე ჩართულია თსუ-ს პრაქტიკულად ყველა სტრუქტურული ერთეული. სისტემის დანერგვის პარალელურად, დეპარტამენტის ძალებით, ჩატარდა ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალის ტრენინგი, როგორც ფაკულტეტებსა და ადმინისტრაციულ ერთეულებში, ასევე სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტებისა და ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის თანამშრომლებისთვის.

დეპარტამენტის მიერ 2017 წელს მომზადდა ტექნიკური დოკუმენტაცია და შესრულდა წინასწარი სამუშაოები თსუ-ს სატელეფონო ინფრასტრუქტურის ციფრულით სრულად ჩანაცვლებისთვის. აღნიშნული პროექტის ერთერთ მთავარ ღირსებას თსუ-ს საკომუნიკაციო ხარჯების მკვეთრი შემცირება წარმოადგენს. საწყის ეტაპზე 700 ციფრული, სტაციონარული ტელეფონისგან შემდგარი VoIP-ინფრასტრუქტურის გამართვის შემდეგ უნივერსიტეტს სატელეფონო ხაზების მომსახურება და გამოყენება 70-75%-ით იაფი დაუჯდება. ახალი სერვისის მეორე ღირსებას გაუმჯობესებული კომუნიკაცია წარმოადგენს. ქოლ-ცენტრის შექმნა ყველა დაინტერესებულ პირს საშუალებას მისცემს მისთვის საინტერესო ინფორმაცია უმოკლეს დროში მიიღოს ან სწრაფად იქნეს გადამისამართებული თსუ-ს მისთვის სასურველ თანამშრომელთან.

დეპარტამენტმა დაასრულა სწავლის მართვის ახალი სისტემის მომხმარებელთა ტრენინგი. 2017 წელს თსუ-ს შვიდივე ფაკულტეტიდან 35-მა თანამშრომელმა სისტემასთან სამუშაოდ აუცილებელი უნარ-ჩვევები შეიძინა. ქსელში ახალი ობიექტების ინტეგრაციის და ახალი სერვისების დანერგვის პროცესი 2017 წელსაც გაგრძელდა. თსუ-ს მაღლივ კორპუსში გაგრძელდა ქსელური ინფრასტრუქტურის მოდიფიკაცია ახალი მძლავრი ქსელური აპარატურით და ოპტიკურბოჭკოვანი კავშირის არხებით. თსუ-ს ქსელის ფიზიკური ტოპოლოგია გაფართოვდა თბილისის მერიის მხარდაჭერით შექმნილი ლაბორატორია FabLab-ის, სან-დიეგოს უნივერსიტეტის და თსუ-ს მე-8 კორპუსში განთავსებული ქართულ-აფხაზური ცენტრის ქსელებით. განხორციელდა ტურიზმის საერთაშორისო სკოლის ქსელის შესამჩნევი მოდიფიცირება. დაინერგა ინტერნეტ-როუმინგის საერთაშორისო სისტემა Eduroam, რომელიც მსოფლიოს 85 ქვეყნის საგანმათლებლო სივრცეში დარეგისტრირებულ 4,4 მილიონ მომხმარებელს საშუალებას მისცემს თსუ-ში ვიზიტის დროს უკაბელო ინტერნეტთან წვდომა საკუთარი უნიკალური ანგარიშით განახორციელოს. 2017 წლის მანძილზე თსუ-ს სასწავლო და საფინასო მონაცემთა ბაზებში მრავალრიცხოვანი მონაცემების შენახვა, დამუშავება და რეპორტების სახით ამოღება განხორციელდა, მაგალითად, სახელმწიფო გრანტების, სოციალური დახმარებების და სტუდენტთა სტატუსების შესახებ. საფინანსო დეპარტამენტთან მუდმივი თანამშრომლობით ხორციელდებოდა ბაზებში მონაცემთა უწყვეტი კორექტირება, ხოლო საგამოცდო ცენტრთან თანამშრომლობით იქმნებოდა შუალედური და დასკვნითი გამოცდების ცხრილები.

სწავლის მართვის სისტემები (sms.tsu.ge, lms.tsu.ge) გაფართოვდა სხვადასხვა მნიშვნელოვანი მოდულებით (დიპლომების დანართები, რეგისტრაცია საერთო საცხოვრებელში ფართის მისაღებად).

ცალკე პროგრამული უზრუნველყოფის სახით შეიქმნა აუდიტორიების დაჯავშნის სისტემა rooms.tsu.ge თსუ-ს მთავარი (tsu.ge) და დაქვემდებარებული ვებ-გვერდები უწყვეტად ფართოვდებოდა ახალი ფუნქციებით. შემოსული მოთხოვნების საფუძველზე შეიქმნა რამდენიმე ახალი ვებ-გვერდი.

დეპარტამენტმა 2017 წელს, გარდა კორპორატიული სატელეფონო არხებით შემოსული მოთხოვნებისა, შეასრულა 2521 ოფიციალური მოთხოვნა, რომლებიც ეხებოდა თსუ-ს კომპიუტერული პარკის (პერსონალური კომპიუტერები, ნოუტბუქები, ნეტბუქები, პლანშეტები, სმარტფონები) და ქსელური მოწყობილობების აპარატულ და პროგრამულ გაუმართაობებს, პროგრამული უზრუნველყოფის ინსტალაციას, პერიფერიული მოწყობილობების (პრინტერები, სკანერები) მხარდაჭერას, ქსელური მოწყობილობების და მათ შორის კავშირების მონტაჟს და სხვა. დეპარტამენტი აგრძელებდა თსუ-ს თანამშრომელთა სამუშაო ადგილების, აუდიტორიებისა და ლაბორატორიების ტექნიკურ აღჭურვას. წლის განმავლობაში შეძენილ და დამონაჟებულ იქნა 300-მდე კომპიუტერი, 100-ზე მეტი საბეჭდი მოწყობილობა. შესრულდა 35 აუდიტორიის აღჭურვა პროექტორით და ეკრანით. ცალკე აღსანიშნავია სტუდენტური პროექტებისთვის კომპიუტერული ტექნიკის შეძენა და გამართვა.

2017 წელს საქმიანობა გააგრძელა დეპარტამენტის სტრუქტურაში შემავალმა დისტანციური სწავლების ცენტრმა, რომლისთვისაც, არსებული მოთხოვნებიდან გამომდინარე, შეიქმნა სტრატეგიული განვითარების გეგმის სამუშაო ვერსია. ცენტრი მუდმივად თანამშრომლობდა ფაკულტეტებთან ელექტრონული სწავლების სისტემა Moodle-ს და მასში განთავსებული ინფორმაციის სრულყოფის მიზნით.

საგარეო ურთიერთობის დეპარტამენტმა, უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობის მიზნით უზრუნველყო ახალი პარტნიორი უნივერსიტეტებისა და ორგანიზაციების მოძიება. სხვადასხვა უცხოურ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან აქტიური მიმოწერისა და მოლაპარაკებების საფუძველზე შემუშავებულ იქნა აკადემიური თანამშრომლობის ფორმატი და საბოლოო ჯამში გაფორმდა და განახლდა განათლებისა და კულტურის სფეროში თანმაშრომლობის 23 ხელშეკრულება შემდეგ უმაღლეს საგანმანათლებლო საწესებულებებთან: ტირანას ნიუ-ორკის უნივერსიტეტი (ალბანეთი); ფრობენიუსის კულტურული ანთროპოლოგიის კვლევების ინსტიტუტი, გოეთეს სახელობის ფრანკფურტის უნივერსიტეტი (გერმანია); იოჰან ვოლფგანგ გოეთეს სახელობის ფრანკფურტის უნივერსიტეტი (გერმანია); სალამანკას უნივერსიტეტი (ესპანეთი); საერთაშორისო თანამშრომლობისა და განვითარების ესპანური სააგენტო (ესპანეთი); კობეს უნივერსიტეტი (იაპონია); სპარსეთის ყურეს უნივერსიტეტი (ირანი); კა'ფოსკარის უნივერსიტეტი (იტალია); სალერნოს უნივერსიტეტი (იტალია); გედიმინას სახელობის ვილნიუსის ტექნიკური უნივერსიტეტი (ლიტვა); პოზნანის ტექნოლოგიური უნივერსიტეტი (პოლონეთი); რჟეშოვის უნივერსიტეტი (პოლონეთი); გდანსკის ტექნოლოგიური უნივერსიტეტი (პოლონეთი); ბიდგოშჩის მეცნიერებისა და ტექნოლოგიის უნივერსიტეტი (პოლონეთი); ვარშავის უნივერსიტეტი (პოლონეთი); ლუბლინის ტექნოლოგიური უნივერსიტეტი (პოლონეთი); ეკონომიკის ახალი სკოლა (რუსეთი); ლიონი 2 ლუმიერის უნივერსიტეტი (საფრანგეთი); უნივერსიტეტი პარიზი 8 (საფრანგეთი); ყაზახეთის ჰუმანიტარულ-იურიდიული უნივერსიტეტი (ყაზახეთი); შვედეთის გარემოს კვლევითი ინსტიტუტი (შვედეთი)ლოზანეს უნივერსიტეტი (შვეიცარია); ზეჟიანგის საერთაშორისო სწავლების უნივერსიტეტი (ჩინეთი);

უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ-სტრუქტურული ერთეულებიდან, პასუხი გაეცა საერთაშორისო თუ ადგილობრივი ორგანიზაციებიდან შემოსულ ასეულობით კორესპონდენციას. მომზადდა საქართველოში აკრედიტებულ დიპლომატიურ კორპუსთან შუამდგომლობის ათეულობით წერილი, თსუ-ს სტუდენტებისა აკადემიურ და ადმინისტრაციულ პერსონალზე ვიზების გაცემის მიზნით;

ასევე, მომზადდა ასეულობით უცხოენოვანი წერილი, მათ შორის, საერთაშორისო პროექტების ფარგლებში ინსტიტუციონალური მხარდაჭერის წერილი, მანდატი.

ევროპულ უმაღლეს სხვადასხვა საგანმანათლებლო დაწესებულებასთან თანამშრომლობით მომზადდა და ევროკომისიაში დასაფინანსებლად წარდგენილ იქნა ერაზმუს+ საერთაშორისო კრედიტ-მობილობის 73 საერთაშორისო საგრანტო განაცხადი, რომელთაგან დაფინანსდა 39 პროექტი შენდეგ უნივერსიტეტებთან: ლუვენის კათოლიკური უნივერსიტეტი (ბელგია), ვარნას მენეჯმენტის უნივერსიტეტი (ბულგარეთი), ცენოვის ეკონომიკის აკადემია (ბულგარეთი), სოფიას უნივერსიტეტი (ბულგარეთი), ვიადრინას ევროპული უნივერსიტეტი (გერმანია), იენის უნივერსიტეტი (გერმანია), გისენის უნივერსიტეტი (გერმანია), კილის გამოყენებით მეცნიერებათა უნივერსიტეტი (გერმანია), შპაიერის ადმინისტრაციულ მეცნიერებათა გერმანული უნივერსიტეტი(გერმანია), ზაარლანდის უნივერსიტეტი (გერმანია), კობლენცის გამოყენებით მეცნიერებათა ინსტიტუტი(გერმანია), კორუნას უნივერსიტეტი (ესპანეთი), გრანადის უნივერსიტეტი (ესპანეთი), კადისის უნივერსიტეტი (ესპანეთი), ახლო აღმოსავლეთის ტექნიკური უნივერსიტეტი (თურქეთი), აფიონ ქოჩათეფეს უნივერსიტეტი (თურქეთი), დუბლინის საუნივერსიტეტო კოლეჯი (ირლანდია), ტუშას უნივერსიტეტი (იტალია), მიკოლას რომერის უნივერსიტეტი (ლიტვა), ლუქსემბურგის უნივერსიტეტი (ლუქსემბურგი), ვარშავის უნივერსიტეტი (პოლონეთი), ოპოლეს უნივერსიტეტი (პოლონეთი), იაგელონიის უნივერსიტეტი (პოლონეთი), გდანსკის ტექნოლოგიური უნივერსიტეტი (პოლონეთი), პორტოს უნივერსიტეტი (პორტუგალია), ბუქარესტის უნივერსიტეტი (რუმინეთი), იაშის უნივერსიტეტი (რუმინეთი), ათენის ეროვნული და კაპოდისტრიანის უნივერსიტეტის (საბერძნეთი), პირეუსის გამოყენებით მეცნიერებათა უნივერსიტეტი (საბერძნეთი), უნივერსიტეტი პარიზი 8 (საფრანგეთი), უნივერსიტეტი რენი 1 (საფრანგეთი), ლილის კათოლიკური უნივერსიტეტი (საფრანგეთი), რენის გამოყენებით მეცნიერებათა ეროვნული ინსტიტუტი (საფრანგეთი), ჰელსინკის უნივერსიტეტი (ფინეთი), ტურტუს უნივერსიტეტი (ფინეთი), გრონინგენის უნივერსიტეტი (ნიდერლანდები) ტრომსოსუნივერსიტეტი (ნორვეგია), ოსტფოლდის საუნივერსიტეტო კოლეჯი (ნორვეგია), ლუნდის უნივერსიტეტი (შვედეთი).

ერაზმუს+ KA1 საერთაშორისო კრედიტ-მობილობის პროექტების გარდა მომზადდა: საპროექტო განაცხადი სახელწოდებით: კრიტიკული აზროვნება აკადემიურ გარემოში სამხრეთ კავკასიასა და ნორვეგიაში (“Critical thinking in academic settings in South Caucasus Countries and Norway”). საპროექტო განაცხადი დასაფინანსებლად წარედგინა ნორვეგიის საერთაშორისო თანამშრომლობისა და განათლების ცენტრს (SIU); საპროექტო განაცხადი Horizon 2020 პროგრამის ფარგლებში სახელწოდებით “მეცნიერება, ტექნოლოგია, ხელოვნება, მათემატიკა და კომიქსები” (STEAMECO). აღნიშნული საპროექტო განაცხადი დასაფინანსებლად წარედგინა ევროკომისიას; ნატო-ს (NATO) მეცნიერება მშვიდობისა და უსაფრთხოების პროგრამის ფარგლებში განაცხადი გაკეთდა პროექტისთვის სახელწოდებით ურბანული უსაფრთხოების მენეჯმენტი. ერაზმუს+KA2 ინსტიტუციური შესაძლებლობების გაძლიერების პროექტის ფარგლებში მომზადდა განცხადებები შემდეგი პროექტებისათვის: დისემინაცია, გაუმჯობესება და კულტურული მემკვიდრეობის შესწავლა DIRECT; სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში PASCL EP სოციალური მეწარმეობის კომპეტენციებისა და უნარების ამაღლება სტუდენტებისთვის უკრაინასა და საქართველოში CIRLCES.

დეპარტამენტმა 2017 წელს ადმინისტრირება გაუწია: ERASMUS+ საერთაშორისო კრედიტ-მობილობის 38 პროექტს, ERASMUS+ საერთაშორისო კრედიტ-მობილობის 45 პროექტს, ერაზმუს+ საერთაშორისო კრედიტ-მობილობის პროექტების ფარგლებში დეპარტამენტი ორგანიზებას უწევს თსუ-ს სამივე საფეხურის სტუდენტებისა და აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის მობილობას

ევროპის სხვადასხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში, ისევე როგორც პარტნიორი ევროპული უნივერსიტეტების სტუდენტების, მკვლევარების, აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის მობილობას თსუ-ში; ERASMUS MUNDUS – EMBER/Erasmus Mundus Broadening Educational Experiences საერთო ბიუჯეტი: 3,090,150 ევრო; ERASMUS MUNDUS – HERMES/Humanities Education Revitalized Via Mundus საერთო ბიუჯეტი: 2,299,375 ევრო, Marie Curie Actions/IRSES -Possibilities and Limits, Challenges and Obstacles of Transferring CEE EU Pre-accession Best Practices and Experience to Moldova's and Georgia's Pre-accession Process. პროექტის მიზანია ხელი შეუწყოს კვლევას ევროკავშირისა და მოლდოვის და ასევე ევროკავშირისა და საქართველოს ურთიერთობების მიმართულებით ისეთ სფეროებში, როგორიცაა ევროპის სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმა, ევროკავშირში გაწევრიანების პირობები, სხვადასხვა ეკონომიკური, სამართლებრივი თუ პოლიტიკური ასპექტები დაკავშირებული ორი ქვეყნის (საქართველო და მოლდოვა) ევროკავშირში გაწევრიანების წინა პროცესთან. პროექტის ფოკუსი და პროექტთან დაკავშირებული კვლევები ემყარება ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების გამოცდილებების გაზიარების შესაძლებლობებს და ანალიზს. აღნიშნული პროექტის ფარგლებში თსუ-ს პროფესორებს და დოქტორანტებს შესაძლებლობა ეძლევათ გაატარონ სრული თვე ტარტუს (ესტონეთი), ვილნიუსის (ლიტვა) ან მოლდოვის უნივერსიტეტებში. ვიზიტის ფარგლებში მკვლევარების სამუშაო განისაზღვრება რეგულარული თემატური სამუშაო შეხვედრებით და პულიკაციებით. კვლევის შედეგები გამოიყენება ევროკავშირთან დაკავშირებული კურიკულუმის და კურსების გაუმჯობესებასა და განვითარებისთვის ყველა მონაწილე უნივერსიტეტში: ტარტუს უნივერსიტეტი, ვილნიუსის უნივერსიტეტი, მოლდოვისა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტებში. Mevlana Exchange Program მევლანას გაცვლითი პროგრამა საშუალებას აძლევს თურქეთში და მის ფარგლებს გარეთ მოქმედ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს განახორციელონ სტუდენტებისა და პროფესორ-მასწავლებლების მობილობა. უნივერსიტეტი აღნიშნულ პროგრამაში ჩაერთო 2013-2014 სასწავლო წლიდან და 2017 წლის მდგომარეობით ხელშეკრულება გაფორმებულია 30 თურქულ უნივერსიტეტთან, რაც ითვალისწინებს ბაკალავრიატის და მაგისტრატურის საფეხურის სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის გაცვლებს; ERASMUS+ KA2 CBHE ერაზმუს + ინსტიტუციური განვითარების (CBHE) პროგრამის მიერ დაფინანსებული პროექტი, რომლის სახელწოდებაა: „უნივერსიტეტისა და საწარმოს თანამშრომლობა Spin- off კომპანიების ქსელის მეშვეობით (UNISON) (პროექტის N: 573555-EPP-1-2016-1-ES- EPPKA2-CBHE-JP). პროექტის მიზანია აკადემიური და სტუდენტური სტარტაპებისა და spin-off-ების სისტემის და კულტურის განვითარება საუნივერსიტეტო სივრცეში. დეპარტამენტმა თსუ-ს ვებ–გვერდზე, ფაკულტეტებზე და სტენდებზე გაავრცელა 250-მდე განცხადება გაცვლითი პროგრამებისა და საერთაშორისო საგანმანათლებლო ღონისძიებების შესახებ და დაინტერესებულ პირებს გაუწია კონსულტაციები სააპლიკაციო პროცედურებთან დაკავშირებით.

გარდა ამისა, საგარეო ურთიერთობის დეპარტამენტმა ორგანიზება გაუწია თსუ-ს სტუდენტების, აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის შესარჩევ კონკურსებს ერაზმუს პლიუსის საერთაშორისო კრედიტ-მობილობის პროგრამებისა და პარტნიორ უნივერსიტეტებთან გაფორმებული თანამშრომლობის ხელშეკრულებების ფარგლებში გამოცხადებული სტიპენდიების მოსაპოვებლად. კონკურსების შედეგად სტიპენდია მოიპოვა 222-მა სტუდენტმა და 80-მა აკადემიურმა და ადმინისტრაციულმა პერსონალმა. თსუ-სა და პარტნიორ უნივერსიტეტებს შორის გაფორმებული თანამშრომლობის ხელშეკრულებების, ერაზმუს პლიუსისა და მევლანას გაცვლითი პროგრამების ფარგლებში დეპარტამენტმა ორგანიზება გაუწია უცხოეთის სხვადასხვა უმაღლესი საგანმანათლებლო

დაწესებულებიდან 37 გაცვლითი სტუდენტისა და 40 აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის ვიზიტს თსუ-ში და უზრუნველყო მათი მობილობა პროფილურ ფაკულტეტებსა და დეპარტამენტებში.

საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის მიერ, 2017 წელს განხორციელდა მნიშვნელოვანი პროექტები, ჩატარდა არაერთი ღონისძიება, რაც აქტიურად შუქდებოდა მასმედიის საშუალებებით. გაშუქების მაჩვენებლები მნიშვნელოვნად მაღალია საგანმანათლებლო ბაზარზე არსებული მაჩვენებლებისაგან. საერთაშორისო რეიტინგში უნივერსიტეტი არის მსოფლიო საუკეთესო უნივერსიტეტების 2 პროცენტში. წარმოგიდგენთ 2017 წლის ნოემბერ-დეკემბრის თვეებში, ობიექტების რაოდენობრივ მაჩვენებლებს (სტატია, ინფორმაცია,ინტერვიუ).





მომზადდა საგაზეთო სტატიები, ასევე ტელე-რადიო სიუჟეტები და გადაცემები. მედია მონიტორინგის მონაცემებით, თსუ-ს შესახებ თვეში საშუალოდ 400-700 საინფორმაციო მასალა ვრცელდებოდა მედიაში. 2017 წელს მომზადდა 12 საგაზეთო ჩანართი (4 გვერდიანი) და თითოეული გავრცელდა 25000 ტირაჟით. შესაბამისად, ყოველთვიურად გაზეთს 25000-მდე ოჯახი კითხულობს. სულ გავრცელდა 300 000 ეგზემპლარი ჩანართი; ჩანართის მიზანია უნივერსიტეტის სიახლეების, წარმატებებისა და მიღწევების პოპულარიზაცია. აღსანიშნვია, რომ 6000 მასალიდან მხოლოდ 16 იყო კრიტიკული ინფორმაცია (შედარებისათვის 2016 წელს ეს მაჩვენებელი 400-მდე იყო). 2017 წელს ხდებოდა ორენოვანი ვებ გვერდის https://www.tsu.ge/science ადმინისტრირება და სიახელეების მომზადება საიტისათვის;ასევე გასული წლის განმავლობაში მომზადდა სამეცნიერო მასალები კვლევების შესახებ 2017 წლის ჟურნალისათვის ,,თსუ მეცნიერება'', რომლის სტატიები ელექტრონულად ვრცელდება ვებ-გვერდსა და ფბ-ზე. Online მზადდება მასალები თსუ სტუდენტების, კურსდამთავრებულების, პროფესორების წარმატებების შესახებ, რომელიც ვრცელდება ასევე ფეისბუქის მეშვეობით. 2017 წლის გაზაფხულზე განათლების საერთაშორისო გამოფენისთვის მომზადდა საინფორმაციო ბუკლეტები საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების შესახებ (ორი სახეობა, 2000-2000 ტირაჟით) და შვიდივე ფაკულტეტის, სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო პროგრამებისა და თსუ საბავშვო უნივერსიტეტის საინფორმაციო ბუკლეტები (სულ 16 სახეობა). 2017-2018 წლის სასწავლო წლის დაწყებისთვი მომზადდა განახლებული საინფორმაციო-საპრეზენტაციო ინგლისურ ენებზე (500 ეგზემპლარი).

2017 წელს დეპარტამენტის ხელშეწყობით გაიმართა კონფერენციები, სემინარები, საჯარო ლექციები, ღონისძიებები და კონკურსები, გაფორმდა მემორანდუმები, რომელშიც მონაწილეობას აქტიურად იღებდნენ აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის წარმომადგენლები. წლის განმავლობაში 400-მდე ღონისძიება გაიმართა. სოციალურ ქსელში –Facebook-ში აქტივობის

მაჩვენებელი გაიზარდა. დღეისთვის 140 000-მდე მომხმარებელი იღებს ინფორმაციას თსუ-ს შესახებ (2016წ.-90 ათასი მომხმარებელი იყო). თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს აქვს საკუთარი არხი YouTube–ზე, სადაც თავსდება ყველა საჯარო ლექციის ჩანაწერი და უნივერსიტეტის შესახებ.

2017 წელს დეპარტამენტი აქტიურად და ნაყოფიერად თანამშრომლობდა საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციასთან, საქართველოს მთავრობის კანცელარისთანა, პრემიერ-მინისტრის აპარატთან, საქართველოს პარლამენტი; საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო სთან. საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატთან ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში; განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან და სხვა. დეპარტამენტისა და კომპანია "ჯეოსელის" საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის თანამშრომლობით 2009 წელს სტარტი აიღო სტუდენტურმა ლიტერატურულმა კონკურსმა "შემოდგომის ლეგენდა". პროექტში საქართველოს რეგიონების უმაღლესი სასწავლებლებიც მონაწილეობენ. 2017 წელს კონკურსის პირველ ტურში მონაწილეობა მიიღო 427-მა კონკურსანტმა სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლიდან. სპეციალურმა ჟიურიმ 10 ფინალისტიდან სამი გამარჯვებული გამოავლინა, რომელთაც უნივერსიტეტის ფულადი პრემია და ჯეოსელის საჩუქრები გადაეცა.

გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტში“, 2017 წელს გამოქვეყნდა 289 ჟურნალისტური მასალა. გაზეთში გამოქვეყნებული მასალები განთავსდა 15 სხვადასხვა რუბრიკის ქვეშ და მიეძღვნა უნივერსიტეტში მიმდინარე მოვლენების გაშუქებას, სასწავლო პროცესებისა და სიახლეების ასახვას, პროფესორთა და მკვლევართა სამეცნიერო მუშაობის წარმოჩენას სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების კვლევითი საქმიანობის ანალიზს და სხვა.

გამოქვეყნებული მასალები	
ახალი ამბები	136
ინტერვიუ	37
ანალიზი	46
რეცენზია	9
მიმოხილვა	19
რეპორტაჟი	7
პროფაილი	9
ბლოგი	1
ოფიციალური მასალები (უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებები, განკარგულებები, აკადემიური საბჭოს დადგენილებები)	7
სხვა (ღვაწლმოსილ თანამშრომელთა გახსენებები, მიძღვნები)	18
სულ	289

მრავალფეროვანი იყო მასალების შინაარსობრივი დატვირთვა, რაც ცხრილის სახითაა წარმოდგენილი:

გამოქვეყნებული მასალების შინაარსობრივი აღწერა	
უნივერსიტეტში მიმდინარე მოვლენები (სასწავლო პროცესთან დაკავშირებული სიახლეები, რექტორის ბრიფინგები, ანგარიშები, ბიუჯეტის განხილვები, სენატის სხდომები, რექტორის და აკადემიური საბჭოს წევრების,, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის, სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტის, სტუდენტების ინტერვიუები და სხვა	119
სამეცნიერო პრობლემატიკა (სამეცნიერო კონფერენციები, ფორუმები, სესიები, იუბილეები, მეცნიერების კომერციალიზაციისა და თსუ-ის მკვლევართა პოპულარიზაცია)	81
განათლების სისტემის რეფორმა (,,უმაღლესი განათლების შესახებ“ კანონში შესატანი ცვლილებების თაობაზე მოსაზრებები; რეფორმის მიმდინარეობა და პრობლემები, განხილვები, დისკუსიები და ინტერვიუები)	6
თსუ-სა და უცხოეთის უმაღლეს სასწავლებლებს და სამეცნიერო ცენტრებს შორის კავშირები (გაცვლითი პროგრამების პოპულარიზაცია; საერთაშორისო ურთიერთობები და სხვა)	32
სახელმძღვანელოები ახალი სამეცნიერო და სასწავლო ლიტერატურის შესახებ (უნივერსიტეტის ფაკულტეტებზე გამოცემული, ნათარგმნი სახელმძღვანელოების მიმოხილვა, რეცენზია, წიგნის საერთაშორისო ფესტივალების გაშუქება და სხვა)	22
თსუ-ის პროფესორთა ექსპერტული ხედვები	6
კრიტიკული მასალები (დისკუსიები, პრობლემის დასმა, მოსაზრებები და სხვა)	4
უნივერსიტეტის საგანმანათლებლო, კულტურული და სპორტული ცხოვრება (სტუდენტური ღონისძიებები, გამოფენები, ,,საბავშვო უნივერსიტეტის“ ღონისძიებები, სპორტული მიღწევები, კულტურული ღონისძიებები)	19
სულ	289

უნივერსიტეტის გაზეთმა სრულყოფილად გააშუქა ყველა ის სიახლე, რაც უნივერსიტეტში განხორციელდა. კონკრეტულად: განსაკუთრებული ყურადღება მიექცა სტუდენტთა მოთხოვნებზე ადმინისტრაციის რეაგირებას, ელექტრონული საქმის წარმოების შემოღებას, სტუდენტური პროექტების დაფინანსების საკითხის განხილვას (რაც წინა წლის სტუდენტური მოძრაობის მთავარი მოთხოვნა იყო); გასული წლის ტენდენციათა შორის უნდა გამოიკვეთოს დასაქმების ფორუმის გაშუქება და ზოგადად კურსდამთავრებულთა დასქმების თვალსაზრისით უნივერსიტეტის მიერ გაწეული მუშაობის გაშუქება. ამ კუთხით უნივერსიტეტის გაზეთმაც თავისი წვლილი შეიტანა – იგი შემოდგომის სემესტრიდან სისტემატურად აქვეყნებს მასალებს თსუ-ის კარიერული განვითარების ცენტრის მუშაობისა და დასაქმების ბაზარზე არსებული ვაკანსიების შესახებ; განსაკუთრებული ყურადღება მიექცა სამეცნიერო

სიახლეებსა და საგრანტო პროექტების ფარგლებში ჩატარებული კვლევების გაშუქებას, გამოყენებითი სამეცნიერო პროექტების გაანალიზებას, უნივერსიტეტთან ინტეგრირებული სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების მუშაობის წარმოჩენას; გაზეთი აქტიურად აშუქებდა უნივერსიტეტის კონტაქტებს სერთაშორისო სამეცნიერო ცენტრებთან და უცხოურ უნივერსიტეტებთან, განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო ,,ერასზმუს პლიუსის" გაცვილითი პროგრამების პოპულარიზაციას; ,,თბილისის უნივერსიტეტი" საგაზეთო ფართს უთმობდა უნივერსიტეტის პროფესორთა ექსპერტულ ხედვებს, სტუდენტთა მოთხოვნებს, უნივერსიტეტის ავტორიზაციისა და აკრედიტაციისათვის მიმდინარე მოსამზადებელ სამუშაოებს, ასევე 100 წლის იუბილესათვის სამზადისს. გარდა ამისა, 2017 წელს მომზადდა და გამოიცა 2 ბროშურა (,,პუბლიცისტური ნარკვევები"), რომელთაგან ერთი მიეძღვნა აკაკი შანიძის 130 წლისთავს, ხოლო მეორე - აკადემიკოს მარიამ ლორთქიფანიძის 95 წლისთავს. 2017 წელს მომზადდა ფილმი აკადემიკოს მარიამ ლორთქიფანიძეზე.

რედაქციასთან არსებულმა შემოქმედებითმა ჯგუფმა 2017 წელს მოამზადა 22 გადაცემა, რომელშიც ასახული იყო საუნივერსიტეტო სიახლეები, ღონისძიებები, კონფერენციები, სტუდენტური აქტივობები, წიგნის პრეზენტაციები, იუბილეები და ა.შ.

უნივერსიტეტის კანცელარიის, მიერ 2017 წელს გაწეულ იქნა შემდეგი მოცულობის სამუშაო. 2017 წელს უნივერსიტეტის კანცელარიაში დარეგისტრირდა 75857 კორესპონდენცია. შემოსული კორესპონდენციის რაოდენობაა - 44 687, მათ შორის შიდა კორესპონდენცია 21 334. გამოიცა ბრძანება 7 586, გაფორმდა ხელშეკრულება (მემორანდუმი) 8 574, სხვადასხვა ორგანიზაციებში და თსუ-ს სტრუქტურულ ერთეულებში გაიგზავნა კორესპონდენცია 19 460.
დოკუმენტებზე რეაგირება მოხდა დადგენილ ვადებში (გაიცა პასუხი, მომზადდა წერილი, გამოიცა ბრძანება, გაფორმდა ხელშეკრულება).

თსუ ადმინისტრაციული ერთეულების მიერ დოკუმენტების განხილვა და მათზე რეაგირება ხდება ოპერატიულად. კერძოდ, შემოსული კორესპონდენციის (საშუალოდ) 30% სრულდება დაუყოვნებლივ 1-2 დღის ვადაში, 50% კი 2-15 დღის ვადაში, ანუ 15 დღის ვადაში სრულდება მუშაობა და კონტროლიდან იხსნება შემოსული კორესპონდენციის (საშუალოდ) 80%, 15-დან 30 დღეში იხსნება კორესპონდენციის (საშუალოდ) 15%, კორესპონდენციის (საშუალოდ) 5% იხსნება კონტროლიდან 30 დღის შემდგომ პერიოდში. გასათვალისწინებელია, რომ აღნიშნული განპირობებულია, ძირითადად, ობიექტური გარემოებებით და დაკავშირებულია სახელმწიფო შესყიდვებისა და ტენდერებით რეგულირებად საკითხებთან. თუ შევადარებთ წლების სტატისტიკას, შემოსული კორესპონდენციის რაოდენობა მერყეობს, საშუალოდ, 34 000 – დან 50 000 - მდე, ხელშეკრულებების - 6 800 –დან 9 300 - მდე, ხოლო გასული კორესპოდენციის რაოდენობა - 8 600 -დან - 13 600 -მდე. ბრძანებების რაოდენობა, საშუალოდ, 6 800-დან - 9 300 -მდე. ფაქტობრივად, სტატისტიკურ მონაცემებს შორის ამპლიტუდა სტაბილურად მერყევია. გასული კორესპონდენციის რაოდენობის ზრდა, ძირითადად, უკავშირდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროდან, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრიდან, სხვადასხვა სამინისტროებიდან და, ასევე, სხვადასხვა ქვეყნების საგანმანათლებლო ცენტრებიდან თუ უნივერსიტეტებიდან შემოსულ მოთხოვნებს დოკუმენტების გადამოწმების თაობაზე, დიპლომების ავთენტურობის დადგენაზე, სტუდენტთა მიერ უცხოეთში მოპოვებული კრედიტების აღიარების, უნივერსიტეტში სწავლის, დიპლომის და დიპლომის დანართების გაცემის ფაქტის დადასტურებაზე, საარქივო მასალების მოძიება-მიწოდებაზე და სხვა.

შემოსული კორესპოდენციის რაოდენობის კლებას, ზოგადად, განაპირობებს კანცელარიისა და უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულების კოორდინაცია და მუშაობის სწორი მენეჯმენტი. კერძოდ, სტუდენტთა განცხადებები, რომლებიც დაკავშირებულია სემესტრული და შუალედური გამოცდების რეგულაციის პროცესებთან, მიიღება და პასუხი გაეცემა დროულად. ამ ტიპის კორესპონდენციაზე, უმეტესწილად, პასუხის გაცემას აწარმოებს საგამოცდო ცენტრი ელექტრონულად SMS.TSU.GE –ის მეშვეობით. აღნიშნული საშუალებას იძლევა უმოკლესი დროის განმავლობაში მიიღოს სტუდენტმა სასურველი ინფორმაცია და პასუხი განცხადებაზე. ხელშეკრულებების რაოდენობის შემცირება, როგორც წესი, უკავშირდება მოქმედი ხელშეკრულებების ვადის შესაბამისი ბრძანებით გაგრძელების დანერგილ პრაქტიკას.

თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად, მნიშვნელოვანი მოვლენა იყო 2017 წლის 01 იანვრიდან უნივერსიტეტის ჩართვა ელექტრონული დოკუმენტბრუნვის ერთიან პროგრამაში (სსიპ საფინანსო-ანალიტიკური სამსახურის eDocument საქმისწარმოების ავტომატიზებული სისტემა), რომელმაც ერთმანეთთან დააკავშირა უნივერსიტეტის ყველა სტრუქტურული ერთეული, ხოლო უნივერსიტეტი დააკავშირა სახელმწიფო სტრუქტურების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების საერთო დოკუმენტბრუნვის ქსელთან. აღნიშნულ სისტემასთან ჩასართავად უნივერსიტეტის კანცელარიის მიერ ჩატარდა რიგი ღონისძიებები: შესწავლილ იქნა და აღიწერა თსუ

სტრუქტურულ ერთეულებში დოკუმენტბრუნვასთან დაკავშირებული პროცესები, მისგან გამომდინარე ფუნქციური და არაფუნქციური მოთხოვნები. კლასიფიცირებულ იქნა უნივერსიტეტის სივრცეში მოძრავი დოკუმენტის ტიპები, დოკუმენტის ტიპის მიხედვით შემუშავდა მისი მოძრაობის მარშრუტები, განისაზღვრა შემსრულებლები და გაიმიჯნა უფლებამოსილებები. აღნიშნულის გათვალისწინებით, თითოეულმა დეპარტამენტმა წარმოადგინა სტრუქტურის ფარგლებში დოკუმენტების მოძრაობის სქემა, რომელმაც საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპატრამენტს საშუალება მისცა მოეხდინა პროცესის დეტალიზაცია, დავალების მონახაზის შეთანხმების შემდეგ ტექნიკური სამუშაოს შესრულება, თითოეული მონაცემისა და ფუნქციის სიღრმისეული ჩაშლა.

დღეისათვის უმნიშვნელოვნესი მიღწევაა არა მხოლოდ თსუ-ს ჩართვა ელექტრონული დოკუმენტბრუნვის ერთიან პროგრამაში, არამედ, ისიც, რომ ხორციელდება უნივერსიტეტის ელექტრონული მართვა და არსებული ელექტრონული მართვის სეგმენტები (საფინანსო, სასწავლო, საგამოცდო, სამეცნიერო და სხვა) გაერთიანებულია. აღსანიშნავია, რომ eDocument - ის სისტემაში ჩართვით გაიზარდა დოკუმენტბრუნვის კოეფიციენტი. აღნიშნული განპირობებულია იმით, რომ კორესპონდენცია კონკრეტული რეზოლუციის მიხედვით ერთდროულად განსახილველად გადაეცემა რამდენიმე სამსახურს. რაც შეეხება 2017 წლის დოკუმენტბრუნვის სტატისტიკას, რომელიც ქვემოთაა წარმოდგენილი დიაგრამების სახით, ის, გარკვეულწილად, წარმოაჩენს eDocument პროგრამული პროდუქტის ეფექტიანობას და უპირატესობას საქმისწარმოებისა და დოკუმენტბრუნვის სისტემური გაუმჯობესების თვალსაზრისით.


კანცელარიაში დოკუმენტბრუნვის მონაცემები
2017 წელს კანცელარიაში რეგისტრირებული კორესპონდენცია
სულ: 80 307
შემოსული კორესპოდენცია 23 353
შიდა კორესპოდენცია 21 334
გასული კორესპოდენცია 19 460
ბრძანებები 7 586
ხელშეკრულებები 8 574


12,000
10,000
8,000
6,000
4,000
2,000
0
იანვარი
თებერვ.
მარტი
აპრილი
მაისი
ივნისი
ივლისი
აგვისტო
სექტემბ.
ოქტომბ.
ნოემბ.
დეკემბ.
სულ: 80 307 2,565 5,867 6,719 5,540 5,588 5,961 6,482 5,280 10,996 8,700 7,498 9,111


შემოსული კორესპონდენცია (თვეების მიხედვით) 2017 წელი
სულ: 23 353
7,000
6,000
5,000
4,000
3,000
2,000
1,000
0
იანვარი
თებერვ.
მარტი
აპრილი
მაისი
ივნისი
ივლისი
აგვისტო
სექტემბ.
ოქტომბ.
ნოემბ.
დეკემბ.
სულ: 23 353 474 1,755 1,872 1,201 1,479 1,676 1,790 1,433 6,059 2,302 1,838 1,474


შიდა კორესპონდენცია (თვეების მიხედვით) 2017 წელი
სულ: 21 334
2,500
2,000
1,500
1,000
500
0
იანვარი | თებერვ. | მარტი | აპრილი | მაისი | ივნისი | ივლისი | აგვისტო | სექტემბ. | ოქტომბ. | ნოემბ. | დეკემბ.
სულ: 21 334 | 393 | 1,598 | 1,929 | 1,329 | 1,800 | 1,892 | 2,044 | 1,462 | 2,283 | 2,310 | 2,006 | 2,288


გასული კორესპოდენცია
2017 წელი
სულ: 19 460
3500
3000
2500
2000
1500
1000
500
0
იანვარი | თებერვ. | მარტი | აპრილი | მაისი | ივნისი | ივლისი | აგვისტო | სექტემბ. | ოქტომბ. | ნოემბ. | დეკემბ.
სულ: 19 460 | 484 | 1440 | 1543 | 1078 | 1237 | 1271 | 1368 | 1432 | 1898 | 2974 | 2043 | 2692


2017 წელს გამოცემული ბრძანებები თვეების მიხედვით
900
800
700
600
500
400
300
200
100
0
იანვარი | თებერვ. | მარტი | აპრილი | მაისი | ივნისი | ივლისი | აგვისტო | სექტემბ. | ოქტომბ. | ნოემბ. | დეკემბ.
სულ: 7 586 | 519 | 548 | 693 | 464 | 544 | 705 | 740 | 702 | 570 | 692 | 624 | 785


რექტორის მიერ გამოცემული ბრძანებები:
1 664
01-01 (საერთო ხასიათის) 281
01-02 (შვებულება) -
01-03 (საკადრო) 26
01-04 (სტუდენტები) 1330
04 (ერთობლივი ბრძანებები) 30


ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მიერ გამოცემული ბრძანებები:
5 922
02-01 (საერთო ხასიათის) 281
02 -02(შვებულება) 1 788
02-03 (საკადრო) 1 109
02-04 (სტუდენტები) 1 217
02-06 (მივლინებები) 1 527







ელექტრონული საქმისწარმოება ხორციელდება პროგრამული უზრუნველყოფის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემის მეშვეობით, რომელიც უზრუნველყოფს დოკუმენტების მატერიალური და ელექტრონული დამუშავების თავსებადობას და ეს ძალზე კომფორტული სერვისია, თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ eDocument პროგრამული პროდუქტის იმპლემენტაციის შედეგების გაანალიზებისას, გამოიკვეთა რამდენიმე საკითხი, რომელთა მოგვარებაც სსიპ საფინანსო-ანალიტიკური სამსახურის ჩართულობითა და აქტიური მონაწილეობით არის შესაძლებელი: უპირველესად, პრობლემურია დოკუმენტბრუნვის ფილტრაციის სამთვიანი პერიოდი, რასაც აკლია მოქნილობა კონკრეტული დოკუმენტაციის ოპერატიული ძებნის საჭიროებისას; eDocument

პროგრამული პროდუქტი არ იძლევა ე.წ. „კონტროლზე“ აყვანილი დოკუმენტაციის ძებნისა და შესრულების მონიტორინგის შესაძლებლობას; ამ ეტაპზე სისტემაში წარმოქმნილი ტექნიკური ხარვეზების გასწორება შესაძლებელია მხოლოდ სსიპ საფინანსო-ანალიტიკური სამსახურის ადმინისტრირებით; შეზღუდულია გარკვეული ტიპისა და ფორმატის დოკუმენტებთან მუშაობა: ტექსტები, გამოსახულებები, აუდიო-ვიდეო ფაილები, პროექტირების სისტემის დოკუმენტები, არქივები, აპლიკაციები და ა.შ.

მიუხედავად აღნიშნული სისუსტეებისა, მთლიანობაში eDocument პროგრამული პროდუქტის ეფექტიანობა საქმისწარმოებისა და დოკუმენტბრუნვის სისტემური გაუმჯობესების თვალსაზრისით აშკარაა და ამ კონტექსტში, საყურადღებოა კანცელარიაში 2017-2013 წლებში დოკუმენტბრუნვის შედარებითი ანალიზი და უნივერსიტეტის დეპარტამენტების მიერ განხილული დოკუმენტების რაოდენობა 2017–2015 წლების მიხედვით, რომელიც მომზადებულია 2017 წლის 31 დეკემბრის მონაცემებზე დაყრდნობით, რაც, აგრეთვე, ადასტურებს წარმოდგენილი წლების სტატისტიკის შენარჩუნების ტენდენციას. ფაქტობრივად, შემოსული კორესპონდენციის, ხელშეკრულებების, შიდა კორესპონდენციის, გასული კორესპოდენციისა და ბრძანებების საშუალო სტატისტიკურ მონაცემებს შორის სტაბილურად მერყეევი ამპლიტუდა შენარჩუნებულია, თუმცა, eDocument პროგრამული პროდუქტის ეფექტიანობა და უპირატესობა საქმისწარმოებისა და დოკუმენტბრუნვის სისტემური გაუმჯობესების თვალსაზრისით, თვალსაჩინოა, პირველყოვლისა, უნივერსიტეტში დოკუმენტბრუნვის ოპერატიულობის, დამუშავების, რეაგირებისა და კონტროლის მექანიზმების გამარტივებისა და ადმინისტრირების კუთხით.

საქმიანობის სამხილებრივი უზრუნველყოფა, საჯაროობა, კანონიერების უზრუნველყოფა და კონტროლი, უსაფრთხოების დაცვა

იურიდიული დეპარტამენტის საქმიანობა 2017 წელს მოიცავდა, უნივერსიტეტის მიერ განსახორციელებელი საქმიანობის იურიდიულ ანალიზსა დარეკომენდაციებს, სამართლებრივი რეკომენდაციების საფუძველზე კანონდარღვევათა მაქსიმალურ პრევენციას, ინფორმაციის საჯაროობის უზრუნველყოფას, სასამართლოში უნივერსიტეტის ინტერესების დაცვას. 2017 წელს მიმდინარე სასამართლო პროცესები შეადგენდა 25. მათ შორის: აკადემიური პერსონალის კონკურსის შედეგებთან დაკავშირებული დავა-5, სტუდენტის სტატუსის აღდგენასთან დაკავშირებული დავა - 2, სტუდენტის სტატუსის მინიჭებასთან დაკავშირებით -1, დიპლომის გაცემასთან დაკავშირებით-4, შრომის კანონმდებლობიდან გამომდინარე დავა-3, პლაგიატთან დაკავშირებით-1. უსაფუძვლო გამდიდრებასთან დაკავშირებით-1, უნივერსიტეტის მიერ გამოცემული აქტის კანონიერებასთან დაკავშირებით-1, დავალიანების გადახდასთან დაკავშირებით-4, საკუთრებასთან დაკავშირებით-1, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევასთან დაკავშირებით -1, სტუდენტური თვითმმართველობის არჩევნებთან დაკავშირებით -1. დამთავდა 13 საქმე. მათ შორის: დიპლომის გაცემასთნ დაკავშირებული დავა-4, სტუდენტის სტატუსის აღდგენასთან დაკავშირებული დავა-1, აკადემიური პერსონალის კონკურსის შედეგებთან დაკავშირებული დავა-2, სტუდენტის სტატუსის მინიჭებასთან დაკავშირებით-1, უნივერსიტეტის მიერ გამოცემული აქტის კანონიერებასთან დაკავშირებით -1, შრომის კანონმდებლობიდან გამომდინარე დავა-1, თვითმმართველობის არჩევნებთან დაკავშირებით-

1, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევასთან დაკავშირებით-1, დავალიანების გადახდასთან დაკავშირებით -1. საჯარო ინფორმაციის გაცემის თაობაზე საანგარიშო პერიოდში შემოვიდა 54 მოთხოვნა. შემოსული განცხადებებიდან: 37 შემთხვევაში გაიცა საჯარო ინფორმაცია განმცხადებლის მოთხოვნის შესაბამისად; 4 შემთხვევაში განმცხადებლის მოთხოვნა დაკმაყოფილდა ნაწილობრივ,ინფორმაცია გაიცა პირის მაიდენტიფიცირებელი მონაცემების შემცველი ინფორმაციის გარეშე (ინფორმაციის გაცემის შესახებ უფლებამოსილი პირის თანხმობის არარსებობის გამო); 9 შემთხვევაში მიღებულ იქნა გადაწყვეტილება საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ, განცხადებით მოთხოვნილი ინფორმაცია შეიცავდა სხვის პერსონალურ მონაცემს (ინფორმაციის გაცემის შესახებ უფლებამოსილი პირის თანხმობის არარსებობის გამო); 1 შემთხვევაში განმცხადებელს ეთხოვა ინფორმაციის დაზუსტება და ინფორმაცია გაიცა დაზუსტებული მოთხოვნის შესაბამისად; 2 შემთხვევაში განცხადებელს ეცნობა, რომ მოთხოვნილი ინფორმაცია არ მოიპოვება, 1 შემთხვევაში განმცხადებლის მოთხოვნა გადაეგზავნა დოკუმენტის განხილვაზე პასუხისმგებელ პირს.

სამართლებრივი შეფასება და რეაგირება გაუკეთდა უნივერსიტეტის ადმინისტრაციაში შემოსულ, იურიდიული დეპარტამენტისათვის გადმოცემულ 1567 განცხადებაში დასმულ საკითხებს, მომზადდა და სამართლებრივი ექსპერტიზა ჩაუტარდა ურთიერთთანამშრომლობის შესახებ ხელშეკრულებებსა და მემორანდუმებს, საგრანტო ხელშეკრულებებს. მომზადდა ქირავნობის და სხვა ხელშეკრულებები. გატარდა და მიმდინარეობს ღონისძიებები უნივერსიტეტის ბალანსზე არსებული უძრავი ქონების დადგენილი ფორმით სარგებლობაში გადმოცემასთან დაკავშირებით (მათ შორის საქართველოს მთავრობის დადგენილების საფუძველზე უნივერსიტეტისათვის შემოერთებული სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებები და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები).

2017 წელს, უნივერსიტეტის ქუჩაზე მდებარე მე-10 და მე-11 სასწავლო კორპუსებში არსებული 13.60 და 5.85 კვ. მეტრი ფართი, ასევე მე-2 სასწავლო კორპუსის ნულოვან სართულზე არსებული 17,00 კვ.მეტრი 3 წლის ვადით, იჯარით იქნა გაცემული ასლგადამღები აპარატების გათავსებისა და ფუნქციონირების მიზნით. ასევე, განხორციელდა უნივერსიტეტის საკუთრებაში არსებული 4 (ოთხი) ავტომანქანის, 6 (ექვსი) ცალი ორკარიანი და 10 (ათი) ცალი ერთკარიანი რკინის კარადისა და 1 (ერთი) ცალი სეიფის, უნივერსიტეტის მიერ სხვადასხვა პერიოდში მოძრავი ქონების ჩამოწერის შედეგად მიღებული 81680 კგ. შავი ლითონის ჯართის რეალიზება. მიმდინარეობდა შემოსული უნივერსიტეტის შიდა სამართლებრივი აქტების, მათ შორის სტრუქტურული ერთეულების დებულებების სამართლებრივი ექსპერტიზა, მათში ცვლილებების შეტანა და ახალი დებულებების დამტკიცება, მათ შორის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულების დებულებების დამტკიცებისათვის საჭირო ღონისძიებების გატარება (2017 წლის განმავლობაში დამტკიცდა დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულების 6 დებულება).

შიდა აუდიტის სამსახურის მიერ, უნივერსიტეტის რექტორისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის დავალებებით ხორციელდებოდა უნივერსიტეტის მიმდინარე სამუშაო პროცესში არსებული საკითხების შესწავლა, რისკების იდენტიფიცირება და მათი პრევენციის მიზნით შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება და გაცემა. ამასთან, სამსახური კომპეტენციის ფარგლებში ახორციელებდა უნივერსიტეტში შემოსული წერილების (საჩივრები, კითხვები და ა.შ.) შესწავლასა და შესაბამის რეაგირებას. უნივერსიტეტის ცალკეული სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელთა მომართვის საფუძველზე, სამსახური მათ პერმანენტულად უწევდა კონსულტაციებს და აძლევდა სათანადო რეკომენდაციებს სამუშაო პროცესში წამოჭრილ პრობლემურ საკითხებთან მიმართებაში, რექტორის ან/და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის სახელზე მომზადებული მოხსენებითი ბარათების სახით. სამსახური

პერმანენტულად ახორციელებდა გაცემული რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგს. სულ საანგარიშო წელს სამსახურს შესასწავლად მიღებული აქვს 123 დავალება/კორესპონდენცია, მათ შორის: უნივერსიტეტის რექტორის რეზოლუციით -5, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის -33 (გარდა ამისა 812 მონიტორინგის მიმართულებით), აკადემიური საბჭო-1, რექტორის მოადგილის -8, სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელების - 7, სტუდენტების - 4, პერსონალის - 4 და სხვა. სამსახურის დასკვნების საფუძველზე შემდგომი შესწავლის ან/და რეაგირების მიზნით მასალები გადაეგზავნა: სამართალდამცავ ორგანოებს (1 შემთხვევაში), თსუ-ის დისციპლინური პასუხისმგებლობის მუდმივმოქმედ კომისიას (9 შემთხვევაში 17 პირზე), ფაკულტეტების საბჭოებს (2 შემთხვევაში); აღარ განხორციელდა დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმებით გათვალისწინებული ზომების გატარება (9 შემთხვევაში) პირის თანამდებობებიდან გათავისუფლების ან/და შრომითი ხელშეკრულების ვადების გასვლის გამო და სხვა. მათ შორის სამსახურის მიერ შესწავლილი იქნა: სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის თანამშრომლის ერევნის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებულ კონფერენციაში მონაწილეობის საკითხი; თსუ–ის ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის დირექტორის კორესპონდენციაში დასმული საკითხი ინსტიტუტის თანამშრომლების სამსახურში მასიურად სისტემატური გამოუცხადებლობის შესახებ; თსუ–ის კავკასიოლოგიის ინსტიტუტის ხელმძღვანელის განცხადება, რომელიც შეეხებოდა თსუ-ის კანცელარიაში საზღვარგარეთიდან მის სახელზე შემოსული კორესპონდენციის დაგვიანებით გადაცემის საკითხს. საკითხის შესწავლით დადგინდა კანცელარიის გარკვეული პერსონალის მხრიდან მათთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობა; თსუ–ის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ქიმიის მიმართულების სტუდენტის განცხადება, რომელიც შეეხებოდა მისი ფინალური გამოცდიდან მოხსნის საკითხს;თსუ–ის ანდრია რაზმაძის მათემატიკის ინსტიტუტის თეორიული ფიზიკის განყოფილების უფროსი მეცნიერ თანამშრომლის კორესპონდენციაში დასმული საკითხი თსუ–ის საწყობის თანამშრომლების მხრიდან შინაგანაწესით განსაზღვრული ნორმების დარღვევის შესახებ.

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტის განცხადება, რომელიც შეეხებოდა სასწავლო ცხრილში შეტანილი ცვლილების გამო მის მიერ არჩეული საგნის ჩაბარების შეფერხებას და მოთხოვნას მისი ბაზიდან აღნიშნული საგნის გაუქმებას; ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორის განცხადებაში დასმული საკითხი საერთაშორისო ბიზნესის კათედრაზე ფაკულტეტის საბჭოს წევრის არჩევასთან დაკავშირებით; ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საერთაშორისო ბიზნესის კათედრის გამგის განცხადება, რომელიც შეეხებოდა ამავე ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორის მიერ სასწავლო დატვირთვის შეუსრულებლობის პირობებში ანაზღაურების მიღების, სასემინარო საათების დოქტორანტისათვის განაწილების, მისი დავალებით დოქტორანტის მიერ ლექციების ჩატარების და საგამოცდო ნაშრომების გასწორების საკითხებს; სამკითხველო დარბაზის გამგის მხრიდან სტუდენტის მომსახურების დროს საკონტროლო–სალარო აპარატის ექსპლუატაციის პირობების დარღვევის ფაქტი;

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტის მშობლების განცხადება სტუდენტის მიერ გარკვეული საგნის გადაბარების ნებართვის მოთხოვნით, გამოცდის ჩატარების პროცესის ხარვეზებით განხორციელების გამო; სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის მიმართულების სტუდენტების ჯგუფის განცხადება თსუ–ის მეექვსე სასწავლო კორპუსში სასწავლო პროცესის სრულად აღდგენის და კორპუსის ,,პიკეტირებისა“ და ინფრასტრუქტურის დაზიანების ფაქტიდან გამომდინარე ,,აუდიტორია 115“–ის წევრების მიმართ ეთიკის კოდექსით და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმებით გათვალისწინებული ზომების გატარების

მოთხოვნის შესახებ; ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ინჟინრის განცხადებები, რომლებითაც იგი ითხოვდა ზუსტ და საბუნებისმტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე მასწავლებლის შტატში გადაყვანას, აგრეთვე გამოთქვამდა უკმაყოფილებას მისთვის სასწავლო კურსის ჩამორთმევის, მის მიერ შევსებული სამუშაოთა აღწერილობიდან რიგი პუნქტების ამოღებისა და სადოქტორო ნამუშევარის პლაგიატის თაობაზე; თსუ–ის შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის გალაკტიონის კვლევის ცენტრის მეცნიერ–თანამშრომლის განცხადება მისი სამსახურიდან გათავისუფლების მიზნით ცენტრის ხელმძღვანელის მხრიდან განხორციელებული მოთხოვნის ფაქტის შესწავლის შესახებ; დოქტორანტურაში ჩარიცხვის კანდიდატების განცხადებები, რომელიც შეეხებოდა მათი გამოცდიდან მოხსნას.

ინიცირებული იქნა გარკვეული ცვლილებები რექტორის 2012 წლის 12 ივლისის N84/01-01 ბრძანებით დამტკიცებული გამოცდის ჩატარების ინსტრუქციაში; უნივერსიტეტის დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურის უფროსის მოხსენებითი ბარათი, რომელიც შეეხებოდა უნივერსიტეტის მაღლივი კორპუსიდან მატერიალური რესურსების მართვის დეპარტამენტის თანამშრომლის მიერ გარკვეული მატ.ფასეულობის თსუ-ის ტერიტორიიდან უნებართვოდ გატანის ფაქტს; გაზეთ ,,კვირის პალიტრაში'' გამოქვეყნებული ინფორმაცია, რომელიც შეეხებოდა სტუდენტების მიერ გამოცდის გადატანის მიზნით ე.წ. ,,ყალბი'' ცნობების თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში წარმოდგენას; წარმომადგენლობითი საბჭოს წევრების ერთობლივი განცხადება, რომელიც შეეხებოდა გაზეთ ,,კვირის პალიტრაში" სტუდენტების – ,,აუდიტორია–115"–ის წევრების მიერ გამოცდების გადატანის მიზნით, უნივერსიტეტში წარმოდგენილი ცნობების შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნებისას პერსონალური ინფორმაციის შემცველი დოკუმენტების გასაჯაროებას; უნივერსიტეტის რექტორის 2017 წლის 13 მარტის N46/01-01 ბრძანებით შექმნილ სამუშაო ჯგუფს დაევალა უნივერსიტეტში საგამოცდო პროცესის სრულყოფის მიზნით წინადადებების შემუშავება და წარდგენა.

სამსახურმა, იურიდიულ დეპარტამენტთან ერთობლივად, შეიმუშავა თსუ–ის რექტორის 2012 წლის 12 ივლისის N84/01-01 ბრძანებით დამტკიცებული ,,სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გამოცდების ჩატარების ინსტრუქციაში" და აკადემიური საბჭოს 2011 წლის 25 ივლისის N77/2011 დადგენილებით დამტკიცებულ ,,სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში" ცვლილებების შესახებ წინადადებები; სოციალურ მეცნიერებათა ცენტრის ადმინისტრაციული დირექტორის წერილში დასმული საკითხი, პროექტის ,,ბოლონიის პროცესის შეფასება საქართველოს მაგალითზე'' კვლევისათვის უნივერსიტეტის მხრიდან ინფორმაციის მიუწოდებლობასა და რეაგირების გარეშე დატოვების ფაქტის შესახებ; განხორციელდა თსუ–ის გამომცემლობის სტამბაში არსებული ბეჭდვისათვის საჭირო სახარჯი მასალების და სათადარიგო ნაწილების აღრიცხვისა და ფაქტობრივი ნაშთების შედარება ბუღალტრულ მონაცემებთან; განხორციელდა უნივერსიტეტის ფაკულტეტების მიერ დამოწმებულ სასწავლო ცხრილებზე დაყრდნობით შრომითი ხელშეკრულებით მოწვეული აკადემიური პერსონალის (პედაგოგები) საათობრივი დატვირთვების შედარება ფაქტობრივ დატვირთვებთან; სამსახურმა პერსონალის მართვის და სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტებთან ერთობლივად, შეისწავლა თსუ–ის შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის, გალაკტიონოლოგიის სამეცნიერო კვლევითი ცენტრის მეცნიერ– თანამშრომლის განცხადება, რომელიც შეეხებოდა ინსტიტუტში საგანგებოდ შექმნილი კომისიის დასკვნას მისი თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ, მასზე დარიცხული ანაზღაურებიდან პროექტის მენეჯერისა და ძირითადი წევრისათვის 12 თვის განმავლობაში გარკვეული თანხის გადაცემის საკითხს; შესყიდვების განყოფილების მთავარი სპეციალისტის მოხსენებით ბარათში დასმული საკითხი, რომელიც შეეხებოდა

სტუდენტური თვითმმართველობის მიერ მოთხოვნილი სასაჩუქრე მაისურების შესყიდვების პროცესს; ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანის მოადგილის კორესპოდენცია, რომელიც შეეხებოდა ამავე ფაკულტეტის ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტის მიერ ფინალური საგამოცდო ნაშრომის შედეგების გასაჩივრების პროცესს.

თსუ–ის ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის სამეცნიერო წევრების განცხადება, რომელიც შეეხებოდა ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოზე მიღებულ გადაწყვეტილებას და ინსტიტუტის დირექტორის წერილით აკადემიური საბჭოსათვის დასამტკიცებლად გადმოგზავნილი დოკუმენტების უკან დაბრუნების საკითხს; თსუ–ის უწყვეტი განათლების ცენტრის უფროსის მოხსენებით ბარათში დასმული საკითხი, რომელიც შეეხებოდა მოსამზადებელი განყოფილების აბიტურიენტის სწავლების საფასურის გადაუხდელობას; ,,თალაკვაძე და ადვოკატთა ჯგუფის“ ფირმის ხელმძღვანელის განცხადებები და სასწავლო პროცესების მართვის დეპარტამენტის უფროსის მოადგილის ხელმოწერით გაგზავნილი პასუხები, რომლებიც შეეხებოდა ,,თალაკვაძე და ადვოკატთა ჯგუფის“ მიერ მოთხოვნილ ინფორმაციას პიროვნებაზე გაცემულ დიპლომს (N PB 523043); რუსეთის ფედერაციის მოქალაქის ნდობით აღჭურვილი პირის განცხადება, რომელიც შეეხებოდა უნივერსიტეტის მიერ პერსონალური ინფორმაციის გაცემის ფაქტს; თსუ–ის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორის განცხადება, რომელიც შეეხებოდა ორი კურსის (პროგრამის) ორგანიზებას; თსუ–ის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორის და მულტიმედია ცენტრის დირექტორის განცხადება, სადაც განმცხადებელი გამოთქვამდა პრეტენზიას ფაკულტეტზე გამოცხადებული ასოცირებული პროფესორების აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად კონკურსის შედეგებზე; უსაფრთხოების სამსახურის უფროსის წერილში დასმული საკითხი, ყოფილი თეუსუ–ს ბალანსზე რიცხული მატერიალური ფასეულობის დაკარგვისა და შესაძლო დატაცების ფაქტის შესახებ; აკადემიური საბჭოს 2017 წლის 14 ივლისის სხდომის გადაწყვეტილების საფუძველზე (ოქმი N15), რექტორის აპარატის და აკადემიური საბჭოს სამდივნოს მოხსენებითი ბარათი აკადემიურ თანამდებობაზე კონკურსის კონკრეტული მონაწილეს საკონკურსო განაცხადის წარდგენის უფლებამოსილების საკითხი; უნივერსიტეტის საგამოცდო ცენტრის უფროსის კორესპონდენცია 2016-2017 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის ძირითადი გამოცდების მსვლელობისას საგამოცდო ცენტრში სხვადასხვა საგნის საგამოცდო ნაშრომების სისტემატიზაციის ხარვეზების შესახებ; საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსის განცხადება სამსახურში გამოცხადების შეღავათიანი პირობებით სარგებლობასთან დაკავშირებით; უწყვეტი განათლების ცენტრის აბიტურიენტთა მოსამზადებელი განყოფილების თანამშრომლის 2017 წლის სექტემბრის თვეში სამსახურში გამოუცხადებლობის საკითხი; მედიცინის ფაკულტეტის მე-12 სემესტრის სტუდენტის განცხადება, რომელიც შეეხებოდა საგამოცდო ცენტრის უფროსის მოადგილის მხრიდან ეთიკის ნორმების დარღვევის ფაქტს; ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ზოგადი ფიზიკის სასწავლო ლაბორატორიის ლაბორანტის განცხადება, რომელიც შეეხებოდა ლაბორატორიის გამგის არაკოლეგიალურ ქმედებებს; ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ბუღალტრული აღრიცხვის და აუდიტის კათედრის ხელმძღვანელის განცხადება მისთვის ემერიტუსის აკადემიური წოდების მინიჭების და შესაბამისი ანაზღაურების შესახებ; სამსახურის მონიტორინგის განყოფილებამ დააფიქსირა და განიხილა უნივერსიტეტის მულტიმედია ცენტრის დირექტორის სამსახურში გამოუცხადებლობის ფაქტები; უნივერსიტეტის რექტორის 2017 წლის 11 ოქტომბრის N200/01-01 ბრძანებით შექმნილი კომისიის თავმჯდომარის განცხადება, რომელიც შეეხებოდა გასაუბრებაზე

მოწვეულ პირთა განცხადებას არგამოცხადებისა და კომისიისათვის დოკუმენტების მიუწოდებლობის თაობაზე;

თსუ–ის შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერ თანამშრომლის წერილი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნულ სამეცნიერო ფონდს შორის გაფორმებული NFR/317/1-20/13 საგრანტო ხელშეკრულების მიხედვით შრომის ანაზღაურების საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრის შესახებ; სამსახურმა განახორციელა 2017 წლის გეგმით გათვალისწინებული, უნივერსიტეტის X (მაღლივი) და პირველი კორპუსის მიმდებარედ არსებული მოქმედი კვების ობიექტის 2017 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 სექტემბრამდე პერიოდში საქმიანობის ანალიზი. შემოწმების შედეგებიდან გამომდინარე, კვების ობიექტების მენეჯერებზე გაიცა შესაბამისი რეკომენდაციები.

შერჩევით შემოწმდა 2014 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე პერიოდში უნივერსიტეტის საწყობიდან სტრუქტურული ერთეულების პასუხისმგებელი პირების მიერ სხვადასხვა ღონისძიებების ჩასატარებლად საჭირო სასაჩუქრედ გატანილი მატერიალური ფასეულობების ხარჯვაზე შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტების წარმოების და მათი ანალიზური აღრიცხვის არსებული მდგომარეობა. შემოწმების შედეგად გამოვლინდა მარეგულირებელი აქტების მოთხოვნების არაჯეროვანი შესრულების ფაქტები. შესაბამისად, სტრუქტურულ ერთეულებს, საფინანსო დეპარტამენტსა და მატერიალურად პასუხისმგებელ პირებს მიეცათ სათანადო რეკომენდაციები.

გაცემული რეკომენდაციების შესრულების გადამოწმების მიზნით, სამსახურმა შერჩევით შეამოწმა 2017 წლის 1 იანვრიდან 1 მაისამდე პერიოდში უნივერსიტეტის საწყობიდან ექსპლოატაციაში გასული, უნივერსიტეტის კორპუსების (NN3,5) ადმინისტრატორების მიერ წარმოებული დოკუმენტებისა და მათ პასუხისმგებლობაში ფაქტობრივად არსებული ფასეულობების აღრიცხვის რეალობის მდგომარეობა.

შიდა აუდიტის სამსახურის მონიტორინგის განყოფილება, გარდა დებულებით განსაზღვრული აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის სამსახურში გამოცხადება, წასვლის ყოველდღიური მონიტორინგისა, ახორციელებდნენ არასამუშაო საათებში თსუ -ის კორპუსების მიხედვით ლექცია–სემინარების ჩატარების მონიტორინგს.

სამსახური პერმანენტულად ახორციელებდა ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალის მიერ თსუ-ის შინაგანაწესით განსაზღვრული ნორმების დარღვევის ფაქტების გამოვლენას და რეაგირებას, რაზედაც თსუ-ის სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულებიდან მიღებულია და განხილული 812 კორესპონდენცია.

დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურის მიერ, მაღლივი კორპუსის სახანძრო უსაფრთხოების სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით სამსახურის მიერ შემუშავდა შენობის სახანძრო წყალგაყვანილობის სრული რეაბილიტაციის პროექტი. სახანძრო უსაფრთხოების სტანდარტების დაკმაყოფილების მიზნით გადაიმუხტა უნივერსიტეტის კორპუსებში არსებული 359 ცალი ცეცხლმაქრი; ხანძრის დროს ეფექტურად მოქმედების, აგრეთვე ხანძრის ქრობის პირველადი საშუალებების სწორი გამოყენები სწესის შესასწავლად დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლებისთვის ჩატარდა ტრეინინგი სახანძრო უსაფრთხოების საკითხებში, რომელიც მოიცავდა როგორც თეორიულ, ისე პრაქტიკულ სწავლებას ხანძრის შემთხვევაში დაცვის თანამშრომელის მოქმედების შესახებ; საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსთან გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში, გასულ წელს, სამსახური აქტიურად მუშაობდა და გააგრძელებს საქმიანობას მომავალშიც საგანგებო სიტუაციების სამსახურის სპეციალისტების მოსაწვევად სამოქალაქო თავდაცვის კუთხით

უნივერსიტეტის აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის, აგრეთვე უნივერსიტეტის სტუდენტებისთვის ლექციების და ტრეინინგების ჩატარების მიზნით; უნივერსიტეტის მაღლივი კორპუსის და ბაგების სტუდქალაქის დამაკავშირებელ ფეხით მოსიარულეთა ხიდზე, სამსახურის თანამშრომლების მიერ, სამსახურებრივი მოვალეობების სანიმუშო შესრულების შედეგად აღკვეთილ იქნა სუიციდის მცდელობის ფაქტი.

დაბა ტაბახმელაში სტუდენტური თვითმმართველობის ორგანიზებით გამართულ მუსიკალურ ფესტივალზე, თსუ-ს კურსდამთავრებულთა გამოსაშვებ საღამოზე, მთაწმინდის პარკში მდებარე ანდერვილ კლუბში „welcome party"-ზე და კინოსტუდია ქართული ფილმი V პავილიონში თსუ სტუდენტებისთვის გამართულ საახალწლო ღონისძიებაზე დაიგეგმა და გატარდა უსაფრთხოების შესაბამისი ზომები.

უნივერსიტეტის მაღლივ კორპუსში, უნივერსიტეტის V კორპუსში განთავსებულ რესურსცენტრში, უნივერსიტეტის მაღლივ კორპუსში და პირველ კორპუსთან მდებარე სასადილოებში, უნივერსიტეტის II კორპუსში განთავსებულ რესურსცენტრებში, უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში, მათ შორის ბიბლიოთეკის პირველი კორპუსის შოთა რუსთაველის სამკითხველო დარბაზში, ბიბლიოთეკის ცენტრალურ შენობაში მდებარე გრიგოლ წერეთლის სამკითხველო დარბაზში, ამავე შენობაში მდებარე საგამოფენო დარბაზის სივრცეში, ბაგების სტუდქალაქის პირველ და მეორე კორპუსებში, დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურის მიერ შემუშავდა შესაბამისი პროექტები ვიდეოსამეთვალყურეო სისტემების დასამონტაჟებლად. პირველი კორპუსის ფოიეში უსაფრთხოების მიზნით დამონტაჟდა ვიდეოკამერა; ბაგების სტუდქალაქის მეორე კორპუსის რესურსცენტრში განთავსებული მატერიალური ფასეულობების დაცვის მიზნით დამონტაჟდა ვიდეოკამერები; სამსახურებრივი საჭიროებისთვის შეძენილი იქნა 20 ცალი ფანარი; უნივერსიტეტის აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის ავტომობილებისთვის დაიბეჭდა 700 ცალი სამანქანო საშვი; სოფელ მუხათგვერდში მდებარე ელეფთერ ანდრონიკაშვილის ფიზიკის ინსტიტუტის გამოყენებითი კვლევითი ცენტრის, კონსტიტუციის ქუჩაზე მდებარე ყოფილი მე-7 საავადმყოფოს, აგრეთვე საგანგაშო ღილაკებით უნივერსიტეტის ობიექტების დაცვის მიზნით გაფორმდა ხელშეკრულებები საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტთან. დახურულ რეჟიმში უნივერსიტეტის სპეცკავშირის სატელეფონო და/ან ინფორმაციის მიმოცვლის სისტემით საკომუნიკაციო მომსახურების მიზნით გაფორმდა ხელშეკრულება სსიპ სახელისუფლებო სპეციალური კავშირგაბმულობის სააგენტოსთან. დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლებს შორის რადიოკავშირის უზრუნველყოფის, აგრეთვე დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურის ოპერატიული მართვის ცენტრში განთავსებული სასიგნალიზაციო პულტის ფუნქციონირებისთვის, რომლის საშუალებითაც ხორციელდება უნივერსიტეტის ობიექტებზე დამონტაჟებული სასიგნალიზაციო სისტემების კონტროლი (ობიექტის გახსნა, დაკეტვა, განგაში, ტექნიკური გამართულობა), კომუნიკაციების ეროვნული კომისიისგან მიღებული იქნა რადიოკავშირული სპექტრით სარგებლობის ნებართვები. უნივერსიტეტის XI კორპუსში (ბიოლოგები) განთავსებული მატერიალური ფასეულობების დაცვის მიზნით დამონტაჟდა სიგნალიზაცია, რომელიც ჩაერთო უნივერსიტეტის ერთიან სასიგნალიზაციო სისტემაში. ასევე, საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკის მიმდებარედ განთავსებულ ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ონსტიტუტის ახალ შენობაში განთავსებული მატერიალური ფასეულობების დაცვის და შენობაში მართლსაწინააღმდეგო შეღწევის თავიდან აცილების მიზნით, შენობის შიდა პერიმეტრზე დამონტაჟდა სიგნალიზაცია და ჩაერთო უნივერსიტეტის ერთიან სასიგნალიზაციო სისტემაში.

კულტურისა და სპორტის სფეროში

კულტურისა და სპორტის დეპარტამენტი, აქტიურად იყო ჩართული სხვადასხვა სპორტულ და კულტურულ ღონისძიებებში. 2017 წელი დატვირთული იყო სპორტული აქტივობების მხრივ და მნიშვნელოვანი წარმატებები იქნა მოპოვებული, როგორც ქვეყნის ასევე ქვეყნის გარეთ გამართულ შეჯიბრებებში. კერძოდ, მიღწეული იქნა წარმატებები: საქართველოს თასის ღია გათამაშებაში ძალისმიერ სამჭიდში, ორჭიდსა და ცალკეულ მოძრაობებში. მოპოვებული იქნა 5 ოქროს, 1 ვერცხლის და 1 ბრინჯაოს მედალი; მსოფლიო ჩემპიონატში ძალისმიერ სამჭიდში, ძალისმიერ ორჭიდსა და ცალკეულ მოძრაობებში, სტუდენტებმა მოიპოვეს 11 ოქროს, 3 ვერცხლის და 5 ბრინჯაოს მედალი; სტუდენტურ უნივერსიადაში ძალისმიერ სამჭიდში: 1 ოქროს, 2 ვერცხლის და 3 ბრინჯაოს მედალი. უნივერსიტეტის ფუტსალის სტუდენტურმა გუნდა წარმატებით იასპარეზა ფეხბურთის ფედერაციის მიერ გამართულ სხვდასხვა შეხვედრებზე და მოიპოვა ოქროს მედალი. ასევე წარმატებები იქნა მიღწეული ქვიშის ფეხბურთის (ვერცხლის მედალი), რაგბის (ბრინჯაოს მედალი), კალათბურთის (ბრინჯაოს მედალი) და სპორტის სხვა სახეობებში გამართულ შეჯიბრებებშიც. აღსანიშნავია რომ უნივერსიტეტის სპორცმენებმა სხვადასხვა სახეობაში შეჯიბრისას ევროპის მასშტაბით 25, ხოლო მსოფლიოს 4 რეკორდი დაამყარეს.

ნაყოფიერი და წარმატებული იყო 2017 წელი კულტურული საქმიანობის თვალსაზრისითაც. იმართებოდა სხვადასხვა კულტურულ-შემოქმედებითი ღონისძიებები უნივერსიტეტის ანსამბლებისა და სტუდენტებისათვის სასურველი ცნობილი მსახიობებისა და მომღერლების მონაწილეობით. კერძოდ, ქორეოგრაფიული ანსამბლი ,,უივერსიტეტი'', ბულგარეთში ფოლკლორის საერთაშორისო ფესტივალის გრანპრის მფლობელი გახდა. ასევე, ანსამბლმა გრანპრი მოიპოვა პორტუგალიაშიც. უნივერსიტეტის „მან-სან-კანის“ გუნდი- "თსუ" გახდა შავი ზღვის ფესტივალის ფინალური თამაშის გამარჯვებული. ბაქოში გაიმართა მუსიკისა და ხელოვნების ფესტივალი, სადაც მიწვეული იყო TSU – ART. 2017 წელს ანსაბლი ,,თსუ გორდელას'' დაარსებიდან 10 წელი შეუსრულდა, აღნიშნულთან დაკავშირებით რუსთაველის თეატრში გაიმართა სოლო კონცერტი. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქორეოგრაფიულმა და ვაჟთა ვოკალურმა ანსამბლებმა, ერევნის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და სომხეთის რესპუბლიკაში საქართველოს საელჩოს მიწვევით, ერევანში გამართეს ღონისძიებები, საქართველოს დამოუკიდებლობის 26 წლისა და სომხეთ საქართველოს მეგობრობის 25 წლის თავის იუბილესთან დაკავშირებით და სხვა.

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პერსონალის მართვის დეპარტამენტის დებულებაში ცვლილების შეტანის შესახებ

1. შევიდეს შემდეგი ცვლილებები საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პერსონალის მართვის დეპარტამენტის დებულებაში:

ა) მე-3 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,1. დეპარტამენტი წარმოადგენს უნივერსიტეტის ორგანიზაციულ-სტრუქტურულ რგოლს, რომელსაც ხელმძღვანელობს დეპარტამენტის უფროსი. დეპარტამენტის საშტატო განრიგით განსაზღვრული თანამდებობებია დეპარტამენტის უფროსი და მთავარი სპეციალისტი.

2. დეპარტამენტის უფროსს უნივერსიტეტის რექტორთან შეთანხმებით თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს ადმინისტრაციის ხელმძღვანელი. დეპარტამენტის უფროსის არყოფნის შემთხვევაში მის მოვალეობას ასრულებს ერთ-ერთი მთავარი სპეციალისტი, დეპარტამენტის უფროსის წარდგინებით, ადმინისტრაციის ხელძღვანელის ბრძანების საფუძველზე".

ბ) დებულების მე-3 მუხლის მე-4 პუნქტი იქნას აშოღებული.

გ) დებულების მე-3 მუხლის მე-5 პუნქტის შესავალი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,5. დეპარტამენტის სხვა პერსონალი - (მთავარი სპეციალისტი):".

სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

№ 86/2018 26 თებერვალი 2018 წ.

"ა(ა)იპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი სტრუქტურული ერთეულის - სამედიცინო პოლიმერული მასალების ინსტიტუტის დებულების დამტკიცების შესახებ" აკადემიური საბჭოს 2012 წლის 13 მარტის №19/2012 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52–ე მუხლის პირველი და მე–2 ნაწილების, 53–ე მუხლის პირველი და მე–3 ნაწილების, 54–ე მუხლის პირველი ნაწილის, 61-ე მუხლის პირველი, მე-3, მე-6 და მე-7 ნაწილების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №135/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების" მე–8 მუხლის პირველი პუნქტის „უ" ქვეპუნქტის, უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2014 წლის 14 ივლისის №73/2014 დადგენილებით დამტკიცებული აკადემიური საბჭოს რეგლამენტის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ჩ" ქვეპუნქტის, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამედიცინო პოლიმერული მასალების ინსტიტუტის 2018 წლის 20 თებერვლის №2970/10-02 წერილისა და უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2018 წლის 26 თებერვლის №5 სხდომის ოქმის საფუძველზე,

აკადემიური საბჭო ადგენს:

1. ძალადაკარგულად გამოცხადდეს "ა(ა)იპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი სტრუქტურული ერთეულის - სამედიცინო პოლიმერული მასალების ინსტიტუტის დებულების დამტკიცების შესახებ" აკადემიური საბჭოს 2012 წლის 13 მარტის №19/2012 დადგენილება.

2. აღნიშნული გადაწყვეტილება დასამტკიცებლად წარედგინოს სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს.
3. დადგენილების ყველასათვის ხელმისაწვდომ ადგილზე განთავსება დაევალოს უნივერსიტეტის კანცელარიას.
4. წინამდებარე დადგენილება დაინტერესებული პირის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით ძალაში შესვლის დღიდან 1 თვის ვადაში ქ. თბილისის

ილია ჭავჭავაძის გამზ. 1, 0179 თბილისი, საქართველო
1, Ilia Tchavtchavadze Ave., 0179 Tbilisi, Georgia
http://www.tsu.edu.ge

ტელეფონი +(995 32) 2 22 02 41 Tel.
ფაქსი: +(995 32) 2 22 51 07 Fax.
ელ-ფოსტა: academic.council@tsu.ge E-mail

საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6).

5. დადგენილება ძალაში შედის კანონმდებლობით დადგენილი წესით.

აკადემიკოსი ნოდარ ცინცაძე
აკადემიური საბჭოს სხდომის თავმჯდომარე
აკადემიური საბჭოს წევრი

სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო

დადგენილება

№ 90/2018 19 მარტი 2018 წ.

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს შრომის კოდექსის“ 37-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „მ“ ქვეპუნქტითა და 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „მ“ ქვეპუნქტით, ასევე 25-ე მუხლის მე-5 პუნქტით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №135/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების” მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „ო“ ქვეპუნქტით, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის „ს“ ქვეპუნქტით დადგენილი უფლებამოსილებიდან გამომდინარე, 33-ე მუხლის პირველი პუნქტის, 34-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტის, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის ირინე დარჩიას 2018 წლის 13 მარტის №4813/10 პირადი განცხადებისა და უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2018 წლის 19 მარტის №6 სხდომის ოქმის საფუძველზე,

აკადემიური საბჭო ადგენს:

1. დაკმაყოფილდეს სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის ირინე დარჩიას განცხადება დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ და 2018 წლის 19 მარტიდან შეუწყდეს სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის უფლებამოსილება.

2. აღნიშნული გადაწყვეტილება დასამტკიცებლად წარედგინოს სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს.

3. დადგენილების ყველასათვის ხელმისაწვდომ ადგილზე განთავსება დაევალოს უნივერსიტეტის კანცელარიას.

4. წინამდებარე დადგენილება დაინტერესებული პირის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით ძალაში შესვლის დღიდან 1 თვის ვადაში ქ. თბილისის

ილია ჭავჭავაძის გამზ. 1, 0179 თბილისი, საქართველო
1, Ilia Tchavtchavadze Ave., 0179 Tbilisi, Georgia
http://www.tsu.edu.ge

ტელეფონი +(995 32) 2 22 02 41 Tel.
ფაქსი: +(995 32) 2 22 51 07 Fax.
ელ-ფოსტა: academic.council@tsu.ge E-mail

საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე–12 კილომეტრი, №6).
5. დადგენილება ძალაში შედის კანონმდებლობით დადგენილი წესით.

გიორგი შარვაშიძე
რექტორი
აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე